

ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვაც, ქართული სიტყვაც“
კვიციანი ჯონი

ფასი 1 ლარი

6 – 12 მაისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

უზიზროების თანამშრომელი თინა ხიდაშელს სკანდალურ საიდუმლო მასალებს გადასცემს



„ორპროცენტთანა“
სახელისუფლო
რევეანში –
რაზე ევაჭრება
მარბველავილი
„რესპუბლიკელს“

»»» 80-2-3 გვ.

ასალგაზრდა პრემიერის პოლიტიკური ტრაგედია



»»» 80-2-3 გვ.

ახალნიები პოლკოვნიკის ლიკვიდაციას გეგმავდნენ?



»»» 80-8 გვ.

პოლიტიკის კულუარები – როგორ
მომზადდა ზუბდიდის სუს-ის
უფროსის, გოგი ნაჭყვიას წინააღმდეგ
„სიზილალის პროვოკაცია“

„რუსეთს დედას ვუტირებთ
და, საერთოდ, რუსეთი ვინ
ჩემი ფეხებია?“

ირაკლი წერეთელი 26 მაისს
საქართველოში სააკაშვილის
ჩამოყვანას გეგმავს! »»» 80-9 გვ.

საქართველოში გალა »»» 80-16 გვ.
ქალების დეფიციტი იქნება!

რატომ ეპახდნენ
გვანცა დარასელიას
„მოსიარულე პრობლემას“



»»» 80-17 გვ.

„სხვა შუადღის“ წამყვანმა
გავლენიანი შურნალის
რედაქტორობაზე უარი თქვა!

შურნალისტი, რომელმაც აჭარის
რევოლუციის დროს, ჩოლოძის
ხიდის აფეთქება გადაიღო




»»» 80-14-15 გვ.

ქეთი ხოსიტაშვილის გზა
„თბილისიდან“ „კვირამდე“

საპრეზულენტოელი რიგა ბერაძე
გურიის გუბერნატორი ხდება?

„შეიძლება, ასფალტი ხარისხიანად
ვერ დავაგებთ, მაგრამ წესიერი
აღაგინებები ვართ!“ »»» 80-11 გვ.



საქპატივი
საქართველო, საქართველო

სკანდალური ექსკლუზივი

„აშშ-სთვის ყველაზე სანდო ორი პოლიტიკური ფიგურაა — გიგა ბოკერია და თინა ხიდაშელი, მაგრამ ბოკერია სააკაშვილს საფლავში ჩაჰყვას. ამიტომ, ის ხიდაშელით ჩანაცვლდა. ამის შემდეგ ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაც დაინიშნა და ეკონომიკური გუნდის მინისტრები თანამდებობებს წელ-წელა დატოვებენ. ყველაფერ ამით კი, მოგებული ივანიშვილი დარჩა. საერთოდ, ის წაგებულ თამაშს არასოდეს თამაშობს. ისე, ღარიბაშვილის ადგილას რომ ვიყო, გადავდებოდი და დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოღვაწეობას დავინიშნებდი. ის, რაც დღეს ხდება, მისთვის, როგორც ახალგაზრდა კაცისთვის, პირადი ტრაგედიაა. საერთოდ, თანამდებობიდან წასვლა გმირობაა. ვერც ივანიშვილი და ვერც სხვა ვერ ეტყვის, რომ წავიდეს, რადგან ეს სხვანაირად აღიქმება... გადადგომით თავისი პოლიტიკური კარიერისთვის უფრო ბევრს მოიგებს და ქართულ პოლიტიკაში თავს დაიმკვიდრებს.“ — ასე აფასებს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ბოლო დროს სამთავრობო ორბიტაზე განვითარებულ მოვლენებს უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელიც მზადაა, თავდაცვის ახალ მინისტრს, თინა ხიდაშელს შეხვედეს და, როგორც თვითონ ამბობს, სკანდალური საიდუმლო მასალები გადასცეს.

— ბატონო კონსტანტინე, რა ხდება?
— ის ხდება, რაზეც აქამდე ვლაპარაკობდით.

— რაზე ვლაპარაკობდით?
— ვანო, გახსოვთ, ვერ კიდევ როდის დავწერეთ, პრემიერ-მინისტრზე დიდი შეტევა მზადდებოდა?

— ანუ, სამთავრობო ცვლილებებს პრემიერზე შეტევად აფასებთ?
— დღეს, პრაქტიკულად, ეს მოცემულია.

— პრემიერი პოსტს ინარჩუნებს და რა მოცემულობას გულისხმობთ?
— პრემიერი კი დარჩა, მაგრამ როგორც ჩანს, ესეც კეთილი შესტია, თან რჩება თუ არა, ეს ერთ თვეში გამოჩნდება. ვერ ისიც კი არ ვიცი, ერთკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, სახელმწიფოს მეთაური, ანუ პრეზიდენტი რა პოზიციას დაიჭერს. გამორიცხავთ, რომ პოზიცია უმრავლესობამაც შეიცვალოს და კოალიციის გუნდებს შორის განხეთქილება განახლდეს?

— რომელ გუნდებს შორის?
— „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა გუნდია და შესაძლოა, უმრავლესობის რღვევა დაიწყოს...

ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, მაგრამ პოლიტიკური კრიზისი მაშინაა, როცა ერთმანეთს ხალხი და ხელისუფლება უპირისპირდება. ახლა სახეზე სახელისუფლო კრიზისია, საიდანაც გამოსავალი ვერ მოხაზული არაა. რამდენიმე მინისტრის მოხსნა და მათ ადგილას ახლების დანიშვნა, პრაქტიკულად, კოსმეტიკაა.

— სახელისუფლო კრიზისი ბუნებრივად შეიქმნა თუ ხელოვნურად?
— ის, რომ ერთ კვირაში სამი მინისტრი სხვადასხვა მიზეზით გადადგეს — ზოგს მელანქოლია შემოაწავს, ზოგს კი, გული ასტიკივდა, დაუჯერებელია. ყველაფერ ამასში კულუარული მართვა იგრძნობა.

— მას, ვინც სიტუაციას მართავს, სახელისუფლო კრიზისი ხელს რატომ აძლევს?
— აქ მხოლოდ შიდა კი არა, გარე ფაქტორებიც, ანუ ის გეოპოლიტიკური სიტუაციაა გასათვალისწინებელი, რაც საქართველოს ირგვლივა შექმნილია. ასევე, ალსანიშნავია, რომ ამ სამთავრობო ცვლილებებს ბიძინა ივანიშვილთან აშშ-ის ელჩის ღია ვიზიტი უძღვოდა, რაც იმის მესიჯიც გახლდათ, რომ ამ ქვეყნის პრაქტიკული მმართველი ივანიშვილია.

— მესიჯი ერთია, ფაქტი კი, — მეორე: ივანიშვილი ირწმუნება, ქვეყანას კულუარებიდან არ ვმართავო...
— შეიძლება, თვითონ არა, მაგრამ ქვეყანას მისი ავტორიტეტი მართავს — საქართველოში დიდი გავლენა აქვს და აშშ-ის ელჩმა შემოსხენებული ვიზიტით ხაზი სწორედ

ახალგაზრდა პრემიერის პოლიტიკური ტრაგედია და „ორპროცენტიათა“ სახელისუფლო რეჟანში



უშიშროების თანამშრომელი თინა ხიდაშელს სკანდალურ საიდუმლო მასალებს გადასცემს

ამას გაუსვას. საერთოდ, აშშ-სა და მის სპეცსამსახურებს ასეთი ღია მოქმედება ახასიათებთ — ამით თავიანთ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს ხაზს უფრო მკაფიოდ უსვამენ, ანუ ეს მესიჯი ხალხისა და ჩვენი არაკეთილმოხურებისთვის იყო განკუთვნილი. ამერიკელები ეცდებიან, რომ საქართველოში სიტუაცია დააბალანსონ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ თავდაცვის მინისტრის უცაბედი შეცვლა სწორედ ამითაა განპირობებული.

— მუსირებს ვერისა, რომ საკადრო ცვლილებები პრემიერის გავლენა შესუსტდა. მაშასადამე, ივანიშვილმა ღარიბაშვილი განიწია?
— განიწივს ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია: ღარიბაშვილის გავლენა ძალიან შემცირდა.

— მათ შორის რა მოხდა?
— არ ვიცი... ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, ხვდება, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია...

— ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ ღარიბაშვილის გუნდი ეფექტურად მუშაობს.
— ბუნებრივია, ასე უნდა თქვას, მით უმეტეს, რომ თავის მიერ დატოვებულ მინისტრთა კაბინეტზე პასუხისმგებლობას გრძნობს და დრო და დრო ინექციას ამიტომაც უტარებს.

— ბატონო კოტე, მომიტევეთ და, თქვენი მსჯელობა ლოკალურ მოვლენებზე და აი, რატომ: ივანიშვილმა შემცვლად ღარიბაშვილი იმიტომ დატოვა, რომ მისი, როგორც ამბობენ, მართვა შეუძლია...
— არსებობენ ადამიანები, რომელთა მართვაც, მას შემდეგ, რაც ძალაუფლებას იღებენ, შეუძლებელი ხდება. საერთოდ, ძალაუფლება ადამიანს რყვნის და ზეამბიცეებს უჩენს. დღეს საქმე, მგონი, სწორედ ამასთან გვაქვს. ისე, პრემიერი ახალგაზრდა კაცია და გული მწყდება.

— გული რატომ გწყდება?
— ვთქვათ, მაგ ასაკში ჩემთვის ვინმეს ამხელა თანამდებობა კი არა, სამმართველოს უფროსობაც რომ შემოეთავაზებინა, ბუნებრივია, არ დავთანხმდებოდი, რადგან თუკი ადამიანი შინაგანად თავისუფალი არ ხარ, ეს გაიძულე, ძალაუფლების ტყვე გახდე. გული კი იმაზე მწყდება, რომ ყველაფერი ეს მისი, როგორც ახალგაზრდა კაცის, პოლიტიკური კარიერის დასასრულია! — როგორია, როცა პრემიერი ხარ და შს სამინისტროს ვეღარ აკონტროლებ, ამასთან, ძალოვანი უწყების მეორე მხარის, ანუ თავ-

დაცვის მინისტრის ჩანაცვლებაც გიხდება...
— ისე, თავდაცვის მინისტრის შეცვლა, როგორც იტყვიან, მონმენდელ ცაზე მესხის გაგარდნას ჰგავდა. დღის ნესრიგში ჯანელიძის მოხსნის საკითხი, თქვენი ვარაუდით, რატომ დადგა?
— ვანო, არაერთხელ მიიტყვამს, რომ იმ მცირე ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, ვინც, თავისი სამსახურებრივი ბეგრანდით და გამოზინარე, თავდაცვის სამინისტროში არსებულ სიტუაციას ფლობს.
— ეს რა შუაშია?
— პირდაპირ გეტყვი: ბოლო დროს, თავდაცვის სამინისტროში ისეთი საკადრო ცვლილებები განხორციელდა, რაც ევროპისა და, მით უმეტეს, აშშ-ის შესაბამის სამსახურებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. სამხედრო უწყებაში ამკარა პრორუსული წარსულის ადამიანები, მათ შორის, ისეთი „ტიპებიც“ გამოჩნდნენ, რომლებსაც საბჭოთა სუვერენიტეტთან აგენტურული წარსული აკავშირებთ.
— რომც გთხოვთ, ვიცი, გვარებს არ დამისახელებთ...
— გვარების დასახელებას ახლა რა აზრი აქვს? სხვათა შორის, ეს ინფორმაცია თავის დროზე ყოფილ მინისტრს მივანოდე.

— მინდია ჯანელიძეს?
— დიახ... რაც მინისტრი გახდა, აღარ შეხვედრივარ, მაგრამ როცა კრიზისების საბჭოში იყო, იარაღის უკანონო ბიზნესზე მასალები მივანოდე, მაგრამ რეაქცია არ ჰქონია.

— ბატონო კოტე, თავდაცვის უკვე ექსმინისტრს რუსეთთან რამე შეხება აქვს?
— პირდაპირ — არა, მაგრამ ბიძინის, ანგი ჯანელიძე, როგორც ვიცი, საბჭოთა უშიშროების წრეებში საკმაოდ გავლენიანი ფიგურა იყო.

— ანუ?
— „კა-გე-ბე“-ს უსერიოზულეს, ასე ვთქვათ, დანაყოფად დაზვერვა ითვლებოდა. ანგი ჯანელიძე სწორედ „რაზვეტჩიკი“ გახლდათ და თურქეთში „ჩავარდა“, რის შემდეგაც პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო — უშიშროების აკადემიაში ასწავლიდა. ის უგანათლებულესი პიროვნებაა, მაგრამ ყოფილი საბჭოთა უშიშროების თანამშრომელია.

— ბიძის გამო პასუხს, თავდაცვის ექსმინისტრი კი არა, ვერავინ აგებს...
— რა თქმა უნდა...
— მოკლედ, ბატონო კოტე, თქვენი ლოგ-

იკით, ჯანელიძე ღარიბაშვილის კადრი იყო, არა?
— დიახ...
— გახსოვთ ნლის შემოდგომაზე, როცა ჯანელიძე თავდაცვის მინისტრად დანიშნეს, ივანიშვილს ღარიბაშვილთან პრობლემა არ ჰქონდა?
— არა... მხოლოდ ივანიშვილი კი არ სწავლობს საზოგადოებას, მაგალითად, ექსპერტებს, არამედ, პირიქით, საზოგადოებაც სწავლობს მას და ამაში ცუდი არაფერია. ივანიშვილს ახასიათებს: ადამიანებს მიუშვებს, გარკვეულ სეგმენტში ძალაუფლებას აძლევს და აკვირდება, ეს ძალაუფლება გარყვინის თუ არა. ასე მოქმედებდა ბიზნესშიც.


— ბიზნესის დაქვევა პირადი ტრაგედიაა, სახელმწიფოს დაქვევა კი, — ქვეყნის.
— კი ბატონო, მაგრამ დგება დრო, როცა სიტუაციაში ერევა. ეს შეიძლება, პლიუსადაც ჩავუთვალოთ და მიწუხადაც, ანუ ამის გაკეთება პოლიტიკაში არ შეიძლება.

— სხვათა შორის, ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრზე, შავლიაშვილზე რასაც ამბობენ, არ დასტურდება და ყველაფერი ჭორიაო...
— კორუფციის მხოლოდ შავლიაშვილის კუთხით ნუ შეგხედავთ, თუცა ფაქტია: ქვეყანაში კორუფციის მაჩვენებელი გაუარესებულია — „ნაციონალების“ დროს მკაცრი მარნუხები იყო და კორუფცია ამასაც ეჭირა, მაგრამ როგორც კი დემოკრატიის პროცესი დაიწყო, ეს მარნუხები მოეშვა, ანუ ძალოვანი უწყებები ბიზნესზე ზეწოლას ისე აღარ ახდენენ და მოსალოდნელიც იყო, რომ კორუფცია გაჩნდებოდა, მაგრამ ყველაფერ ამასთან დასაპირისპირებლად გარკვეული ხდება უნდა გქონდეს. დემოკრატიაზე არასწორად შერჩეული კადრებიც შემოქმედებენ. ამიტომ, რეფორმებისკენ კარდინალური ნაბიჯები უნდა გადაეღვათ...

ერთი სიტყვით, თუ პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტი იმ სახით, რა სახითაც პრეზიდენტს წარუდგინეს, დაამტკიცა, ღარიბაშვილი ძალაუფლებას გარეშე დარჩენილი პრემიერი იქნება.

— რატომ?
— პრემიერს, რომელსაც ძალოვან უწყებებზე ზეგავლენა არ ექნება, რა პრემიერი იქნება?
— პრემიერმა ჯანელიძე კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭოში დააბრუნა და ეს

ბაბრძილა 03-03



საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კონსტანტინე

მედეა კახიძის გამოსათხოვარი

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პოეტი და მამულიშვილი, გერმანიაში გადასახლებული, საქართველოს მონატრებული ქალბატონი მედეა კახიძე.

ღვთაებრივი სინანულით იყო სავსე მისი ცხოვრება. ღვთაებრივი მადლით იყო მოსილი მისი პატრიოტული პოეზია, „მზითა და სიკეთით ძლეული“.

„ეს იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვისაც სიყვარული შეუძლია!“ — ესეც მედეა კახიძის სიტყვებია და ისიც ვთქვათ: მთელი სიცოცხლე სიყვარულის გზით იარა.

ვთხოვ ჩვენს ხელისუფლებას, ახლა მაინც ჩამოაბრძანოს სამშობლოში ძვირფასი მამულიშვილი, რომ საკუთარ მინას მივაბაროთ!

ჯანსუღ ჩარკვიანი



ჩემი მინის სადღეგრძელო

ვერცხე, ვეფხე, ვერ დავეფხე
საქართველოს
საოცნებო გზები,
გრძელი, როგორც
ჩვენი „მრავალფაზიერი“,
სვავრიელი,
როგორც პურის ძნები.
ვეფხე, ვეფხე, ვერ მოვძებნე
ოცნებაში დახატული მოყმე,
მინდა, ვიყო
თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მინის
სადღეგრძელოდ მოვკვდე.
მუმილი მუხას ეხვეოდა,
ყორანივით დაგვეოდა მტერი,
კაფეს,
კაფეს,
ვერ გაკაფეს
ეჭვებით ჩახლართული ტყვრი.
ლეწეს,
ლეწეს,
ვერ დალეწეს,
განა მართლა თავზე ჩემოგვექცა, —
ვარსკვლავების ჩისტკოპით დახურული,
საქართველოს მადლიანი ზეცა.
მინდა, ვიყო
გმირი თინა წაგვისელი,
შორი გზიდან მივიოფნე მოყმე,
ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მინის სიცოცხლისთვის მოვკვდე.

მედეა კახიძე

კიდევ ერთი ლეგენდა დათავრდა — მაია პლინცკაია გარდაიცვალა



მაია პლინცკაია სცენაზე 60 წლის განმავლობაში იდგა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „გედის ტბაში“ მთავარი როლი 800-ჯერ შეასრულა.

ბალერინას საბჭოთა კავშირის ყველაზე უმაღლესი — სახალხო არტისტისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებები ჰქონდა მიღებული.

მაია გერმანიაში, მეუღლესთან, კომპოზიტორ როდონ შედრინთან ერთად ცხოვრობდა.

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ, ლეგენდარული ბალერინა ფონდ „იანანას“ მონაწილეობით, თბილისში ჩამოვიდა და მონაწილეობა მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის გახსნაში მიიღო.



ლეგენდარული „ჯარისკაცის მამა“ მამა გარდაიცვალა

ცნობილი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა. ის ბოლო დროს ავადმყოფობდა — აპარატზე იყო მიერთებული.

რეზო ჩხეიძე საბჭოთა რეჟიმის მიერ 1937 წელს დახვრეტილი ცნობილი მწერლის, დავით ჩხეიძის ოჯახში დაიბადა. 1943-1946 წლებში სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, 1953 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ს. იუტკევიჩისა და მ. რომის სახელობით).

რეჟისორ თეგვი აბულაძესთან ერთად, გადაიღო კინონარკვევები: „ჩვენი სასახლე“ (1953), „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ (1954) და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ (1955; კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი — „ოქროს რტო“ და I პრემია

ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე. 1956).

ასევე, გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „ჩვენი ეზო“ (1956, ოქროს მედალი, I პრემია და დიპლომი მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე 1957), „მაია წყნეთელი“ (1959), „განძი“ (1961; დიდი პრიზი დელის II საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1961), „ჯარისკაცის მამა“ (1964, პრემია კორში (ირლანდია) X საერთაშორისო კინოფესტივალზე, დიპლომი სან-ფრანცისკოსა და სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალზე, პრიზი რომის III საერთაშორისო კინოფესტივალზე. 1965), „ლიმილის ბიჭები“ (1969. საქართველოს კომკავშირის პრემია „ჯარისკაცის მამასთან“ ერთად, 1970), „ნერგები“ (1972; დიპლომი მოსკოვისა და ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალზე. 1973); „მშო-

ბლიურო ჩემო მინავ!“ (1980; მთავარი პრიზი და დიპლომი ვილნიუსის XIV საკავშირო კინოფესტივალზე, 1981; ლენინური პრემია, 1986; 1991 წელს პრემიაზე უარი განაცხადა).

რეზო ჩხეიძე იყო ყოფილი სსრკ უმაღლესი საბჭოს IX-XI მოწვევების დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი სხვა ორდენითა და მედლებით.

1963-1981 წლებში იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი. 1974 წლიდან — რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი.

იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი.

„ქართული სიტყვა“ სამიძიარს უცხადებს სრულიად საქართველოს რეზო ჩხეიძის გარდაცვალების გამო.

რას ვიზამთ, ბედი ბედი...

წავიდა ჩვენგან დიდი მამულიშვილი და დიდი შემოქმედი. ის არა მარტო „ჯარისკაცის მამა“ იყო, არამედ, მამა იყო ყველა თაობის!

უთვალსაჩინოესი პიროვნება ეპოქაზე გავლენას ახდენდა. რეზო ჩხეიძის შემოქმედება ნათელი იდუმალებით იყო მოსილი. ამიტომაც აღიარა იგი მთელმა მსოფლიომ.

ახლა ისიც ვთქვათ: წინა ხელისუფლებას არ უღიარებია მისი არც 80 და არც 85 წლისთავი...


ეჰ, რას ვიზამთ, ბედი ბედი...


ამ ერთი წლის წინ, რეზოს დაბადების დღეს, მის ოჯახში სუფრა გაიშალა და ათიოდე კაცი ვადღეგრძელებდით ჩვენს ძვირფას მეგობარს. მე საუცხისო ლექსი მივუძღვენი, იქვე დაწერილი, რომელსაც ამ ცრემლიან დღეს მოგახსენებთ:

რეზოს!

შენი მტრისა სული ყარდა,
იდექ მაინც მამაცად,
მერე რა, რომ მტერი გყავდა,
მტერი მაინც დამარცხდა!
ეფერები ყურძნის ხარდანს,
მარად იქ ხარ, სადაც ხარ,
ჯარისკაცის მამაც ხარ და
საქართველოს მამაც ხარ!
ღმერთი არ ვარ და ვერ დავთვლი,
ან უფლებას ვინ მომცემს,
გეხვეწები, კიდევ ათი,
ათი წელი იცოცხლე!
რას ვიზამთ, არ გამიმართლა...

ჯანსუღ ჩარკვიანი





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვაც, ქართულო სიტყვაც“

კარგო ლინაძე

ლიტერატურა

საქართველო

საქართველო

ბრიტოლ ორბელიანი

სადღაგრაძე, ანუ ორის შვიდგრაძე და მისი ღმერთი, ბრძენის სიბრძნის

შესწავა ბინდისას ომი საზარო,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა;
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი;
ურდო ცეცხლებით განათებულა!
აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა,
ვითა ნუგეშსა მოგვფენს საშველად;
შევეცეთ, ვინც დღეს გადურჩით ომსა;
კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად!
ძმანო, მორიგის საესე ფიალით,
ჩვენცა მოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს;
ვესალმით, ვინცა სიკვდილის ხელით
დაეცნენ ომში დღეს რისხვით ნასულს!
და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი ალგვიგზენ;
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვად და არ აღხინე!

მხადარნი

ჰოი, შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი ალგვიგზენ;
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვად და არ აღხინე?

სადღაგრაძე

ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის
ასამალღებლად,
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს
გასამხნეებლად,
რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად
მალღად!
ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა
შთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს
მქრალი, —
ეგრეთ იქმნების აღზოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!
ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს, სადა ჰსცხოვრობდენ
ძველ-გმირნი?

დრომან შემუსრა, აღჰგავა მინით მათიცა საფლავნი;
მარამ, ჰსცოცხლან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!
ძმანო, პატივით მიემართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახელნი ჰსჩანან ნათელი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..
ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუთუ ველარა უცვნი შვილი..
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?
შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!
და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!
ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით!
და განჰქრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
ქართველთ მიხედვს ცას სიბრძნით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრებას..
მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
მზად არს საომრად სახე-შერისხვით!
ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთროოდნენ,
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელენდენ და შემუსვრიდნენ!
ზეცა წყალობად, ნუგეზად, ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით

ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულ-მონყალესა
მსაჯულსა.

ზე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა მდინარე მეტყველსა!..
დავით ჰსთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ

ქალაქნი!
განჰველ უდაბნო ოხერი, — საესედ დაბებით შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი, — და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად
ნაშენნი!

მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი
ივერნი!

ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყვავებული!..
აღმხედრდი ლაშქრად, — და ილტვის სულთანი
შეძრუნებული,

სადღაგრაძე

შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენი ხმლით
შემოხაზული

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხვეელი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!
ვითარცა ღმერთა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მაღლის მშვიდი და წყნარი
ეგრეთ მშვენიებით მოვალს თამარი!
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უწყრავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!
მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი;
მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი!
თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი;
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევისურს ჰშვენის
აბჯარი,

მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი

მევირცხლობით...
თამარი ლოცავს ჯვართა, ჯარს ამხნევს გულის უხვევით;
გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!..
გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა, ერთის შეტევით
მილენეს!

ლომებრ მისცივდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში
გარდაგდეს,
განვლეს არეზი, თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,
და მტვერი გაოხრებისა, ღვთის რისხვად ყაზმინს თავს
დასცეს!

დრონი იცვალენ... იხილეთ ქეთევან ნაზად აღზრდილი,
მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი,
ხორც-დაგლეჯილი შანგებით, მკერდზედა ცეცხლ-
ანთებული,

სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს ზეცად დიდებით
აღმსვლელი!
ნათელ გვირგვინით მოჰსჩანან კახეთის მხსნელი გმირები
ელისბარ, შალვა, ბიძინა მტარვლისგან დატანჯულები!..
ტარიგად შესაწირავით მახვილით განგმირულები,
ღმერთს ავედრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყვები!

აჰა, ცხრა ძმანი, სახელ-განთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;
ვით წმიდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი.
ერთ ჟამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი.
აჰა, ერთ-გული ამილახვარი
თავდადებითა მეფისთვის მკვდარი!..
და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი,
თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!..
აჰა, სჯულისა წიგნითა ვახტანგ სვე-დამწარებელი.

სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამაღლებული!
უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამინებული!
აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი!
წარბშეჭმუნელინი, ხმალ-ხელ მონვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით
ბრძოლა ნამსავე გარდასანყდებოდა!
დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ველარ ვმზერო მისს
სახეს!

მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერისა მასთან მარხია სამარეს!
მეფისა დროში სად მიხვალ, ჰე, ლევან, სულით ნათელო?
შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებული!
მსხვერპლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შექმული!..
შეირვა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გული.
რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის
ბრძოლისა?

მოლაღ დაღისტანი მოანვა გასაოხრებლად ყვარლისა!
ოცდარვა დღეა, რაც ისმის ხმა ომის შეუნყვეტლისა!
გაჭირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ხელი მხსნელისა?
ორასის მხედრით სოლომან, ოთარი და რატიშვილი,
ნოდარის ძენი, და ბოსტა, დავით და ბებურიშვილი
გაჩნდნენ... დაჰვიკვლეს... ხმაღ და ხმაღ შუა გააპეს ლექთ
ძალი

და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!
დიდებულ სახით, გულუშიშარი
ვინ არს, რომ მისგან მტერი იშიშვის?




ჯარის იმედი, მტკიცე საფარი,
ძლევა მის დროშას წინა მიუძღვის!
შენ ხარ, ჰე დავით, გმირი ლომგული,
ვინც იყავ მტრისთვის, ვით ცისა რისხვა;
მარჯვენას გეყრას სიკვდილის ცელი,
სადაც შეჰსძახე, მუნ იყო მტერთ სრვა!
და ზაქარია, მინისა მგელი
ანაზღუდად მუნ აღჩნდებოდა,
სადაც მტერი გალაღებული,
მისგან შემუსრავს არ მოელოდა!
ვითარცა ჭეჭა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესრედ საზარლად;
სადაც იელვა მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად!
გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსჩანან მამულის
მფარველნი!

ზოგნი აზატის დამხოზნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!
აი ასპინძის გმირები, ღირსებით თავყან-ცემულნი,
რომელთ შეჰღებეს მტრის სისხლით მტკვრის ზვირთნი
აღვლევებულნი!
აი, სამასნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი
მეფის შეწვევად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:
— „თუ გაგვინყრება ღმერთი და ვერა განვჰსდევნეთ მტრის
ძალი,
იყოს შერცხვენელ, ვინც ჩვენგან, შინა წავიდეს ცოცხალი!“
და გარდინერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი
იშიშვლეს...
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა
სიმრავლეს!
შეჰსძერეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი
დააკვლეს...
ფიცო ვაჟკაცთა წმიდა არს... მათცა სიკვდილით შემონმეს!
თავყანწირულმა გმირობამ ვერა დაჰსძლია შავ-მხვედრი...
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!..
და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი ან ვჰმზერო სიამით
ბალი მწვანეთ.

მუნით მოისმის ღმერთის ხმა გულ-ურზურველთა მოღონით!
და მას წმიდასა აღაგსა, თავყან-საცემსა ღირსებით,
გლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშე ჰსთრგუნავს გულითა
უგრძობით!..
გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

მხადარნი

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!



ილანა

საქართველოს პარლამენტი

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

პროზა

ილია ჭავჭავაძის ორი ფელეტონი

პატარა საუბარი

ქართველნი დედაკაცნი, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართა, მაგრამ პირველ სიტყვებზედვე ძალიან შევეფრთხიე...

ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიო, უთქვამს რუსთაველს...

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით...

ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება სანაწყინია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა...

„ქალბატონო...“ ცოდვა არ არის „დედაკაცი“ დაუკარგო და ქალი შევიძინეთ!

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის...

ქართველებსათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის...

„ქალბატონო...“ ცოდვა არ არის „დედაკაცი“ დაუკარგო და ქალი შევიძინეთ!

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის...

ვაი, რომ „დედაკაცი“ წავიდნენ, აღარ გვეყვანან და მარტო „ქალები“— დაგვიჩვენან და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა.

„პარბი რამ მჭირდეს, ბიპირდეს, ავი რა საპირველია“

აი, ესეც ახალი გაზეთი ჩვენის ძველის სახელითაა! ძლივს არ დაიბადა!.. მაგრამ რალაც უგემური კი გამოდის. ფხა არა აქვს, ფხა!.. მოჰყოლიან, ბატონებო, ეს მეცნიერებო, ეს ცხოვრებო. ეს ისაო, ეს ესაო...

რაო? მეცნიერება და ცხოვრებო?!.. აი, მეხი კი დაგვცათ. გაზეთიო მეცნიერებისა და ცხოვრების შორის შუამავალიო...

მახარიათა შუამავალი მოგზავნა საქიროდ დაგინახაო. ჩვენს ცხოვრებას მეცნიერებასთან რა ხელი აქვს და მეცნიერებას ჩვენს ცხოვრებასთან?

შორს წავიდი. რაზე დავიწყებ ლაპარაკი და რაში გავებო, ქართველი ვარ და ტიტინი მიყვარს.

გაზეთიო მეცნიერების შენობისათვის ცხოვრებისაგან მოგროვილი ქვა-კირი უნდა ზიდოსო და იქიდან კიდევ დედა-ზარები უნდა გადმოიტანოს ცხოვრებაშიო...

ფიცის მალე ვინამებთ ხოლმე, იმიტომ რომ გულჩვილი ვართ და მალე დამჯერნი, მაგრამ ბოლო კი ყოველთვის გვაკვირვებს, იმიტომ, რომ უბედურნი ვართ...

ვირს, რომ უბედურნი ვართ, მარტო ის გვიკვირს – როგორღა ვართ ცოცხალნი.

ნუ დამილონდი, მკითხველო! რა ვენა, სიცლით ვინყობ და გლოვით ვათავებ ხოლმე.

მოჰყოლია ეს ახალი გაზეთი და ყვირის: ჩვენ არ ვიკადრებთო ადამიანის შეურაცხყოფასაო...

ეს ადამიანის უფლებაო, ეს ზნეობითი კანონიო!.. დასწყევლოს ღმერთმა, რეებს არ მოიგონებენ კაცის მაცდურებისათვის!

„დედა-ენას“ ეძახის, „დედა-ენას“ ეძახის, „დედა-ენას“ ეძახის, „დედა-ენას“ ეძახის, „დედა-ენას“ ეძახის...

ადამიანის უფლების დარღვევაო!.. ვიშ, რა მოუგონიათ! რა გაბერილი სიტყვაა!.. რამოდენი კალთები აქვს! რასაც გინდა, ქვეშ იმას შეაფარებ.

ჩვენს გაზეთიო ჩვენის ცხოვრების სარკე უნდა იყოსო. თუ ეგრეა, მაშ ხომ ჩვენს ცხოვრებაში უნდა ჩაებათ. ის კი აღარ იცით, ხარი ხართან დაბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო...



ქართული
საქართველოს
კომუნისტური პარტია

„შენ — უკვედავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარენი ლეონიძე

ახალი ლექსები

სიტყვებით ნაბები ქალაქის მოქალაქე

ნავიკითხე ახალგაზრდა პოეტის, ქეთევან ნათელაძის ლექსთა კრებული და უნებლიედ სიტყვა „ახალგაზრდა“ მესამეში, არა იმიტომ, რომ ყველა ჭეშმარიტი პოეტი სულით ახალგაზრდაა, არამედ, იმიტომ, რომ სიტყვა „ახალგაზრდა“ როგორც შედავითი, როგორც რვეერანსი, როგორც სამკაული, სულაც არ სჭირდება ამ მართლაც და ახალგაზრდა ავტორს. ქეთევან ნათელაძე პოეტი, სულით ხორცამდე პოეტი, „უთავბოლო ფიქრებით დაღლილი“ და სევდის ემბაზში განბანული სიტყვებით ნაგები ქალაქის მოქალაქე.

არ გამკვირვებია, სინარულით კი, გულწრფელად გამისარდა, როცა ქეთევან ნათელაძის ლექსმა „ფერეიდინიდან“ პოეზიის დღესასწაულზე — „შოთაბა“ მთავარი პრემია დაიმსახურა. ისიც საგულისხმოა, რომ ამ კონკურსში არაერთი ცნობილი პოეტი მონაწილეობდა.

„ისე მალა ვარ და ზემოთ, ციდან ახალ ზეცას ვხედავ“, — წერს ერთ ლექსში ქეთევან ნათელაძე. მკითხველის სიყვარული და ახალი ზეცათა ხილვა არასოდეს მოჰკლებოდეს პოეტ ქალბატონს.

გამვალა გონაწვილი



ქეთევან ნათელაძე

ის თავისმა წვიმა, ვიცოდი, რომ გადაიღებდა და დაგვრჩებოდა მოგონების მკრთალი ფერები, დღეს მე კარგად ვარ, მხოლოდ, როცა სული იღლება, ათასში ერთხელ მესიზმრება შენი ხელები... გული არ უტყვებს მონატრებას, ყელი გაუშრა, შენთვის ნაწერი წერილები შენ არ მოგსვლია, რა სიყვარული მაშინ, როცა ამ სამყაროში ჩვენი შეხვედრაც ერთი დიდი პარადოქსია! ქარი გზად ფოთლებს აგროვებდა, კართან აწყობდა, ბზარი გაუჩნდა სიყვარულის მზისფერ სათვალეს, გადასდებია შემოდგომას ჩემი განწყობა — წერებებს გიშლის და შუა გზაზე გინწყობს სკანდალებს! მზის მთებში ჩასვლას ვმგვანებდევარ ასე არასდროს, დროში ფიქრით გაცამტყვრდა მოსვლის იდეა,

ჩემი გზა ციური

რისთვის გავირითმე ჩემი გზა ციური, რისთვის გისინათლე სული იელის და, მთვარე არ ყოფილა ისე გრაციული, შენგან დანატოვარ სიცარიელიდან. თერთმა სტრიქონებმა უკვე გადაგცვალეს, ვგზავნი ამანათებს შენთან თოლივად, დღევს ვერ უშველი სულში განაძმარებს, დღევს დარჩენილებს აღეგორივად! ქარებს გაგატანე ლექსი დახეული, ცამ რა დათესა და ზღვა რას მოიკიდა, ყველგან სიბნელეა თვალმხედავული, სადაც უშენობამ ფეხი მოიკიდა. წლები ამ ვარსკვლავებს გააოლარებენ, ჩემი მარტოობა უტყვად გაგაშვილე, სასონარკვეთილი ვუტყქერ მონატრებებს, გულში ჩაკრულვებს და ძალით გადაშლილვებს. ისევ ეს ქალაქი ჩემებრ პოეტი, ისევ დაფრთხილვით ვახრჩობ აპათიებს, როცა აღარ უყვართ, მაშინ პატიობენ, მე კი, ამ ბოლო დროს, ვგრძნობ, რომ გაპატივი... და მზეს უტოლდება ჩემი გზა ციური, სხვისთვის ისანთელვებს სული იელის და, მთვარე არ ყოფილა ისე გრაციული, შენგან დატოვებულ სიცარიელიდან.

ხელისგულზე ნაგლეჯილი სამშობლო მტკიცა... ხელისგულზე ატკიებულ სამშობლოს ვდარდობ, საქართველოსთვის განწირული ქართველი ტყვე ვარ, ბედისწერას რომ შეატოვებს მტრების წინ მარტო. ამორძალი ვარ, გავეჭრები და ისრულ მთებში და თუ მოხვდური მომენევა თმებჩაშლილ ხიზანს, ქართულ სულს მაინც ვერ ჩაჰკლავენ მომხვდურნი ჩემში, მე ცხრა ქართველი მეომარი მომაყრის მიწას. კოლხეთის მდიდრულ ღამეებში კვლავ ვებრძვი სურვილს და სეფე-ქალი მთვარის სვეტთან ძველ ლაზურს უკრავს, ვბრუნდები თქვენთან, მედია ვარ ჯვარცმული სულით და ცოცხალ-მკვდარი ოქროს სანძისს გიბრუნებთ უკან! შეშლილა მთვარე, შეიშალა ფიქრები როგორც, და საქართველოვ, მე შენს გარდა ვერაფერს ვხედავ, ვარ ლეკის მთიდან მოპარული უცნობი გოგო, მტრისგან მოკვდილი გულისსწორის დავტირი ცხედარს. ჩემს სამშობლოში მიწოდებენ ჯალათნი ლტოლვილს, მომეძალება ტრაგიკულად უსიტყვო სევდა, ლილე ვარ, ლილე, უგვირგვინო დედოფლის როლით, მეფე გიორგის ერთადერთი მემკვიდრის დედა. ვარ ნაომარი, ნატყვიარი, ჭრილობით ასლით, არ შემრჩა ძალა, გავევიდო ქარიშხლებს მკივანს, ხელისგულზე ნუ მესხებით ბრძოლებით დაღლილს, ხელისგულზე ნაგლეჯილი სამშობლო მტკიცა!..

ფიქრის გოგო

(დედას)

დე, რალაც წერა ამიჩემდა დაუფარავად, ვიღებ კალამს და წერას ისევ ხელი მივყავი, ნავალ, დე, ნავალ, უცნაური სულაც არაა, მუდამ ასეთი ცის და ფიქრის გოგო ვიყავი! მთვარის ელვასი დაკრძალავენ ცრემლებს თვალები, სული უცაბედ გზის სიშორით, ვიცი, შეცბება, ნავალ, დე, ნავალ ცის სინდინდეს ნაზიარები და როგორც გსურდა, თოვლის თეთრი კაბა მეცმევა. მტკრიან წიგნებში შემორჩება ჩემი ლექსები, დამთავრდება და დაიწყება რალაც ახლიდან, ნავალ, დე, და ხვალ მზის სხივებთან ნალერსები, ჩემი ბავშვობა ფეხს აიდგამს ჩვენი სახლიდან... ნავალ, დე, რალაც ამინდები ისე ირევა, ვეღარ გაუძლებს, ვიცი, გული ამ მოლოდინებს, და ერთადერთი, თუკი ვინმეს ავტირება, აგეტირებათ, დე, შენ და ჩემს ლამაზ თოჯინებს. ნავალ, დე, ნავალ, თუმცა ჩემს წინ ბევრი ვერსია, ნავალ და ვიცი, შენი ცრემლიც ვეღარ დამიშლის, ნავალ და ვიცი, დაიდარდება, როგორც წესია, შენს ნაფერებ და ხელისგულზე გაზრდილ ქალიშვილს. ნავალ, დე, ნავალ, ყველა მიდის, ნუ გწყინს, კაი რა... გამყვება ხიდან მონყვეტილი ფოთლის ფიქრები, ნავალ, დე, ნავალ და ვიცი, რომ ხვალ შენაირად, მეც ჩემნაირი ფიქრის გოგოს დედა ვიქნები!

უცლის კახეთი

მე მომეჩვენა, იყო ზღაპარი, შენ მომჩვენე ანდაც ზღაპარად, შენ არ აღმოჩნდი ისე სხვაგვარი, რომ გვეყვარებოდი უფრო სხვაგვარად. გულში რა უცებ გაჩნდა ნაპრალი, რომ მყვარებოდი, მაინც ვეცადე, აქ მთები არის ისე მაღალი, აღარ არსებობს ზღვარი ზეცამდე! ხელში დაძველდა ჩემი ლოცვანი, შენსას ყველაფერს ჩემი დავარქვი

და ეს ქალაქიც ჩემად რომ ვცანი, მაინც არ არის ჩემი ქალაქი! ნისლი ცის ერთი თეთრი სიშია, წელს სხვანაირი იდეა ივლისი, ხვალ მე დავტოვებ ქალაქს წვიმიანს, ფიქრად დარჩებით შენ და თბილისი. მთვარეს დაღლილი მინა შეჭხარის, შენ აქ ხარ, მაგრამ უკვე ნახვედი და ქრისტესავით გაუტყვავი ჩემს დაბრუნებას უცლის კახეთი!

აპარადმსი

ჩემი წერილიც, მარტივი და უშინაარსო, ჩემში ამტყვდარი ქარიშხლების რეკვიზიტია! ქარმა ფოთლები წამოხვეტა ისევ გზებიდან და მაშინდელი ვარსკვლავებიც უხმოდ ჩამიქრეს, უკვე გეტყოდნენ, რომ მე უკვე სხვა მზით ვთბები და სხვა მენერება ლექსებად და რომ სხვა მაფიქრებს. მეც არ მეგონა, თუ დაგთმობდი ასე ადვილად, არც მიფიქრია, გულმა შური ისე იძია, მე შენ მიყვარდი ისე წრფელად, ისე ნამდვილად, რომ დღეს არაფრის პატიება არ შემიძლია! ...ჩვენც სომ ვიცოდით, ბედი ბოლოს მაინც გაგვყოფდა და დაგვრჩებოდა ხვედრი ჩვენი შეუფერები, ათასში ერთხელ, სულს უჭირს და სტკივა არყოფნა, ათასში ერთხელ მესიზმრება შენი ხელები...

ისევ პოეზიის საღამო


ექვტი გარდასულზე აღარ მოვა, ვის შენ გაყვევი და ვის — მე, ისევ პოეზიის საღამოა, ისევ მოდიხარ და მისმენ. ისევ შემოასწრო შეღამებამ მომხვლელთ ღიად მოხსნილ კარში, სცენას ლექსის ცეცხლი ეხამება, ლექსებს — ცრემლები და ტაში! ისევ ოვაცია — საფასური სულში ჩარჩენილი ისრის, თითქოს ანთებული აბაჟურიც, ლექსის შიბოლტებს ისერის. სისხლი საფეთქლებში უფარდებათ, მზისფერ თაიგულებს მარტის, ნამით ყველაფერი მდუმარდება, გარდა — ტკივილის და დარდის! კედლებს ფოთლებივით შემოსცლია შუქი, კულისებს რომ მორთავს,

ისევ მოდიხარ და ემოციით ისევ ივსები და შფოთავ... თვალის ფიქრებისთვის ახელისთვის, სული ნახანძრალ მთებს მოჰგავს და ამ ტკივილების გამხელისთვის თეთრი ქრიზანთემა მოგაქვს. რითმები ქარების დონეზეა, ვერ წყნარდებიან და ქრიან, ისევ საღამოა პოეზიის, ისევ დამთავრდება გვიან. გარეთ სიჩუმეა უშაერო, წვიმა ქვაფენილზე უკრავს, სიტყვის უთქმელად და უხმაუროდ, ისევ გამოყვები უკან. ექვტი გარდასულზე აღარ მოვა, ვის შენ გაყვევი და ვის — მე, ისევ პოეზიის საღამოა, ისევ მოდიხარ და მისმენ.

ფერიდნიდან

ძველ სიზმრებს ხედავს საქართველო ისევ ფერადად, ტყდება სიშორის ბორკილები ასეთ სიზმარში, მთვარეს — ცის ბეჭედს ალამაზებს ღამის სევდა და ძველი ქართლის გული ფეთქავს ფერიდანში! ნამო, ნავიდეთ, მონატრებას აყვევთ სიციხიანს, ამბავი ვუთხრათ — გატანილი ბევრჯერ ღელაო, ნამო, მოუყვებ ჩვენებურებს, თუმცა იციან, რომ მთების აქეთ უიმათო საქართველოა! რომ კლდეებს დარჩათ ნაკანრებად ხმები გოდების, რომ მაინც ვერვინ ვერ ჩავკვირო უფლის სანთელი, ნამო, ნავიდეთ და ამოვთქვათ ჩვენი ცოდვებიც, როგორ შეეცდით და შეევაკალით ქართველს ქართველი! როგორ მოედო ყვავილივით ცრემლი საფლავებს და ნანამები სული უფალს როგორ ელოდა, რომ მზე ნავიდეთ და მიწაში დავასაფლავებთ, მტრისგან და ჩვენგან გულგაგლეჯილ საქართველოდან. როგორ შევებით ბედისწერას — მაცდურ ბაზიერს, როგორ ვყლაპავდით ამ ბრძოლის დროს აბებს საძილეს, სადღა ახსოვდათ ის დიდება რომს და აზიას, ჩვენ რომ გაგვაჩნდა — გაყიდული ჰქონდათ ნაძირლებს! და დავინწყების ცეცხლი გწავდა ყველაფრიანად, ხატთან დამფრთხალნი ანგელოზნი ჰკრავდნენ ირაოს, ნამო, ნავიდეთ, ისტორია მემბტიანის გავისხენოთ და პირუკულმა დავატრიალოთ. არ ცხრება მიწა და არ უჩანს ბორგავს ნაპირი, ქართველთა სისხლით გამოკვებილ ყველა მინდვრიდან, ნამო, ნავიდეთ, საქართველო სულ სხვანაირი, სულ სხვანაირი ზღაპრული ჩანს ფერიდნიდან!

ეს მოძახილი სუნთქვას ვერ გასცდა და სადღაც, გულთან ახლოს გათავდა, სულზე მცვიოდა სხეულის ნაცვლად, როცა გოია შიშველს მხატვად! შემოაღწევდა ეგ ხმა ბურანში, ხმას ტალღებივით ქარი არწევდა და შენს თვალბუკში — ზღვისფერ გუაშში ღამე ფარულად თითებს ანებდა. ატმის ყვავილად გასცდა სურვილი და საკრალურად ცივი დუმილი იხედებოდა შენი სულიდან. მერე გაფითრდა მზე და შებინდდა, შენი ვერმოსვლა სწყინდათ ჩეროებს და ვარსკვლავები ბლებად ეკიდა ქარით დაზნექილ ცის კენწეროებს. ეს მოძახილი სუნთქვას ვერ გასცდა და სადღაც, გულთან ახლოს გათავდა, სულზე მცვიოდა სხეულის ნაცვლად, როცა გოია შიშველს მხატვად!



საქრულო ქვეყნის მთავარი გაზეთი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

საკრულო

ახალაიები პოლკოვნიკის ლიკვიდაციას გეგმავენ?

— სად ხართ? — ტელეფონში მს მინისტრის ხმა გაისმა. — ქუთაისის მოგუზალოვდით, — მიუგო ხელქვეითმა. — იჩქარეთ, — ვანო მერაბიშვილს აშკარად ეტყობა, რომ ღელავს. დაკავებული სისტემას კარგად იცნობს — წლებია, როგორც იტყვიან, თანამშრომელია — ორგანოში მუშაობა რომ დაიწყო, 22 წლის იყო. ჰოდა, ხედება, რომ „ზევით“ რაღაც ისე არაა, როგორც უნდა იყოს, თორემ მერაბიშვილი წამდაუნუმ არ დარეკავდა, რას შერებთო. ისე, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა „ნაცებმა“ მისი „ვირის აბანოში“ გამოკეტვა გადაწყვიტეს.

როგორ დაიგეგმა ზუგდიდის სუს-ის უფროსის, გობი ნაჭყებუას წინააღმდეგ „ხიზილალის პროვოკაცია“



ეს ამბავი კი, ასე მოხდა: ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხელისუფლებაში, სულ რაღაც, ერთი წლის მოსულები იყვნენ, დააკავეს. მაშინ ლამის მთელ საქართველოს იჭერდნენ და სამეგრელოს უშიშროების სამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ გობი ნაჭყებუას „აყვანა“ არავის გააკვირვებია, თუმცა ერთი კითხვის ნიშანი მაინც არსებობდა: ნაჭყებუას „ბეგრადი“ ეროვნულ მოძრაობას უკავშირდება. შესაბამისად, რუსეთს ვერ იტანს, ანუ თვლის, რომ ყველა უბედურება, რაც საქართველოს სჭირს, სწორედ ჩრდილოეთიდან მოდის. „ნაცებიც“ სწორედ ასე ფიქრობენ. ჰოდა, გაუგებარია, რა მოხდა? ამ შეკითხვაზე პასუხი კულუარებში იციან — გობი ნაჭყებუას, რომელიც სოხუმის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, ქარდავეები, მასხადავები, ახალაიები ერჩიან. ახლა, ხმამაღლა არაფერ ამბობს, მაგრამ ზუგდიდის პატარა ქალაქი და ბავშვმაც კი იცის, რომ ქარდავეები ნაჭყებუას სიმაგრის რაღაც კომერციულ ფართზე აუხიბდნენ. ვაცმა უკან არ დაიხია და... შედეგიც დადგა: სიძე დაუჭირეს... ნაჭყებუა ახლაც თანამდებობაზეა — აფხაზეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის ინსპექტორ-გამომძიებელია და... გრძნობს, რომ „ძველი მტრები“ ისევ რაღაცას უშაბდებენ, მაგრამ რას?.. მოდით, ქრონოლოგიას მივყავთ... მაშ, ასე: 2012 წლის 26 მარტი... ნაშუადღევ... მოვლენათა ეპიცენტრი სამეგრელო, კერძოდ, ქალაქი ზუგდიდი... გობი ნაჭყებუა, სამსახურებრივი ავტომობილი „ფოლქსვაგენ ჯეტა“-თი, ქალაქის ცენტრიდან, პაპანიჩის ქუჩის მიმართულებით, შინ მიდის... სოხუმის ქუჩაზე, ე. წ. სოფლტექნიკის კორპუსთან თვალი ნაცნობებს — ვაჟა კაკულიას, ზურაბ კიკალიშვილის, დავით გუჩუასა და ირაკლი ლეინჯილიას მოჰკრა. პოლკოვნიკი მანქანას აჩერებს და ბიჭებს ელაპარაკება. — დიდიდან, სამი უცხო ავტომობილი უბანში მოძრაობს და არ მოგვჩინებს, — ეუბნებიან ნაჭყებუას ნაცნობები და ქუჩის მეორე მხარეს უთითებენ, სადაც ორი ავტო დგას — „ჯიპი“ და „სედანი“. — ერთი წუთით, — ამბობს პოლკოვნიკი ნაჭყებუას და მანქანებს აკვირდება... ერთ-ერთი ნაცნობი სახე დააჩინა. დიას, არ ემლება — ის შსს გენინსპექციის თანამშრომელი ჭაბუკა რაფაეა. — ყველაფერი რიგზეა, — ამჟღავნებს ნაჭყებუა თანაუბნელებს, — ეს ხალხი თქვენთვის სა-

— მოდი, აღიარე, რომ თითქოს „ხიზილალა“ უკანონოდ შემოგქონდა. ეს შედარებით მსუბუქი დანაშაულია და საპროცესოსაც ადვილად გაგიფორმებთ, პირობითი მსჯავრით გაგიშვებთ და ჩვენს კონტროლქვეშ იქნები. — რა? — ნაჭყებუა, ცოტა არ იყოს, დაიბნა. — კარგად დაფიქრდი... ისე, შეგვიძლია, თბილისში წაგიყვანოთ, შსს-ს ხელმძღვანელობას შეგახვედროთ და ყველაფერი მათთან გაარკვიო... ისე, არ დაგაინყდეს, რომ ავადმყოფი დედა, მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი გყავს... პოლკოვნიკის ტვინი გამალებით მუშაობს. სიკვდილი რაა, ერთი ნამია, მაგრამ რა უფოს დედასა და ცოლ-შვილს? ცხადია, არარსებული „დანაშაულის“ აღიარება ჯობია. ჰოდა, ასე: შსს-ს წარმომადგენლები მუშაობას იწყებენ — თავიანთი ავტომობილებიდან მუყაოს ყუთებს ტვირთავენ. მერე, ნაჭყებუას სამსახურებრივ ავტოში ანყოფენ... მუყაოს 13 ყუთი „ხიზილალათა“ გაქმედილი, სულ 653 ქილა... ყველაფერი ეს ვიდუფირზე აღბეჭდეს და... თბილისისკენ მიმავალ გზას დაადგინ... ისევ ტელეფონი რეკავს... — ალბათ, ვანოა, — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა „გამცილებელმა“... — მადლობა ღმერთს, თბილისამდე ჩამოაღწიეთ, თორემ იმ ნაძირალებს შეიძლება, გზაში მოეკლათ! მოკლედ, ყველაფერი თავის ადგილას ლაგდება — ქარდავეებმა, შესაბამისად, ახალაიებმა, გობი ნაჭყებუას ლიკვიდაცია განზრახეს. ამის შესახებ, როგორც ჩანს, მერაბიშვილმა გაიგო და პოლკოვნიკის „დაკავების სპეცოპერაცია“ დაიგეგმა. შეიძლება, ასე სულაც არ იყო, მაგრამ ნაჭყებუას ახლობლებს, რომლებსაც „ქართული სიტყვა“ ესაუბრა, მოვლენათა განვითარების ასეთი სცენარი ლოგიკური ჰგონია... ისე, ბედის ირონიაა, აბა, რა არის: მას შემდეგ, რაც ახალაი-ქარდავეები, ანუ „ნაციონალიზმი“ სამთავრობო ბერკეტებს დათმობს, გობი ნაჭყებუა სამეგრელოს სუს-ის უფროსად დაინიშნება. ერთ დღესაც, „ზევით“ დაიბარებენ და ეტყვიან, შენზე „დანოსები“ გვაქვსო. — აბა, გისმენო, — მშვიდად იტყვის ნაჭყებუა. — ოპერატიულად მოგვანოდეს ინფორმაცია, რომ გიგა ბოკერიასთან მეგობრობო, — გამომცდელად მოჭუტავს თვალს „ნაციონალური“ ძალებისგან და „ოცნებაში“ პორტირებული „პაგონიანი“. — დიას, „ვეფხობრობა“, — გაიღიმებს ნაჭყებუა, — ბოკერიას ყოველ დღე ვხედავ, ოღონდ... ტელევიზორში! „გაქოცებული“ „ნაციონალი“ ყბას დააღებ... —

სტოკჰოლმი

თემო მურვანიძე: „ნაციონალურ“, დემოკრატიის პირობაში, ქვეყნის მართვის უნარი არ ჰქონდათ და ხალხს ამიტომაც ეპროვდნენ“

საჯარო მმართველობის სპეციალისტის, თემო მურვანიძის განცხადებით, „ბევრს საჯარო მოხელეობა ან რაიმე საქმის ხელმძღვანელობა მხოლოდ კაბინეტში ჯდომა და ჯიპით სეირნობა ჰგონია. არადა, თანამდებობა პრივილეგია არაა, რომლითაც კონკრეტული პიროვნება დაავალდებულეს, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი გუნდისა და მოქალაქეების, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობაა, ამიტომ ყველა მოხელე ვალდებულია, მაქსიმალურად დაიხარჯოს და თავისი ცოდნა და გამოცდილება საქმეს მოახმაროს. სამწუხაროდ, საქართველოში ისეთი პრეცედენტებით, როცა ვინმე მალალ პოსტზე უარს თავად იმიტომ ამბობს, რომ კვალიფიკაცია არ ჰყოფნის, განებივრებული არ ვართ“. „ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაზე მანკიერი, არასწორი სისტემა შექმნა და ადამიანებს პირდაპირ აშანტაჟებდა, რომ პარტიის აქტივებზე მისულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურს დაკარგავდნენ. სწორედ ეს მანკიერი პრაქტიკა ალმოსაფერული - საქართველოში პიროვნული თავისუფლება თითოეული ადამიანის დონეზე უნდა დამკვიდრდეს“, — აცხადებს თემო მურვანიძე და დასძენს, რომ „დღევანდელი ხელისუფლება საკმაოდ რთულ პირობებში მუშაობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაკისრებულ მოვალეობებს თავს კარგად ართმევს“.

„პი-პი-პი“-ი




საქართველოს პარტია

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარინა ლუცინი

■ ძველი ლიდერი



ირაკლი ნერიაშვილი 26 მაისს საქართველოში საპარტიო წევრებს გაგვამს!

„გაფიცვის ძალიან ბევრი მიმდინარეობდა მიუღებელია, თუმცა არიან ჯანსაღი ძალებიც. ქურდულ საფაროსა და სიცხილურ გაფიცვას შორის დიდი განსხვავებაა. ქართული „კანონიერი ქურდები“ არაფრის გაქმნის ბოთლები აღმოჩნდნენ!“

„რუსეთს დედას ვუტირებთ და, საერთოდ, რუსეთი ვინ ჩემი ფეხებია?“

საქართველოს კიდევ ერთი მოშიშვლებული შეემატა, მაგრამ უსახსრობის კი არა, პოლიტიკური მოთხოვნების გამო. „ეროვნულ-დამოუკიდებლობის“ პარტიის ხელმძღვანელის, ეროვნული მოძრაობის, პრაქტიკულად, ერთადერთი ცოცხალი ლიდერის, ირაკლი ნერიაშვილის მოთხოვნების მთავარი, ასე ვთქვათ, მიზანი რუსეთის დამარცხება, ამ პროცესის ხელშემწყობ პირებს, ანუ „ნაცმოძრაობის“ წევრებს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა და საქართველოში აშშ-ის ბაზების განთავსებაა.

– ბატონო ირაკლი, წლების წინ „ნაციონალიზმის“ ოპოზიცია იყავით. დღეს კი, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შიშვლილობა, ბაჩო ახალაიას, გიგი უგულავასა თუ ვანო მერაბიშვილის რეაბილიტაციაა...
– ჩემი შიშვლილობის მიზეზები ჩემივე პოლიტიკური მოღვაწეობის ქვაკუთხედი იყო. უბრალოდ, ორი მოთხოვნა დავმხატვარი: სააკაშვილს ბრალი უნდა მოუხსნან და მასზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს. ასევე, უნდა გაათავისუფლონ პოლიტიკატიმრები – ივანე მერაბიშვილი, ბაჩანა ახალაიას და გიგი უგულავა. „ნაციონალისტებს“ მაშინ ვაკრიტიკებდი, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, ძალაუფლება ჰქონდათ და კონკრეტულ შეცდომებს უშვებდნენ. დღეს კი, ძალაუფლება აღარ აქვთ და ჩვენი საერთო მტრის, რუსეთის წინააღმდეგ იბრძვიან. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, თავის დროზე 27 დღე ვიმშობილე, მაგრამ ახლა, კაცური და რაინდული პრინციპებით დამამარცხებლად, ასევე, საერთო მტრის დასამარცხებლად, საქმეებს, წაყენებული ბრალი მოუხსნან. საქართველოს პრორუსული ძალა მართავენ და მის მხრიდან „ნაციონალისტებს“ დევნის დაწყება ჩემთვის მიუღებელია. ისე, ამ მთავრობიდან, როგორც ღირსეულ ადამიანს, მხოლოდ სერგეენკოს გამოვყოფ...

– მაინც, ვერ გავიგე, „ნაციონალიზმის“ ლიდერები პოლიტიკატიმრები რატომ არიან – სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ?
– გიგი უგულავას პატიმრობის კონსტიტუციური ვადა გაუვიდა. პროკურატურამ კი, ამ დროში ვერაფერი დაუმტკიცა... დღეს საქართველო სტაბილურ მდგომარეობაში არაა – რუსული აგრესიის ახალი ტალღა მოსალოდნელია. „ნაციონალიზმ“ უკრაინელი ხალხის თავისუფლებას მხარს ღირსეულად უჭერს. ამიტომ, აუცილებელია მთელი პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება, რათა რუსებს ერთად ვებრძოლოთ. როცა რუსული აგრესიის საფრთხე მოიხსნება, დანაშაულებზე მერე ვილაპარაკოთ. ჩემს მოთხოვნებში „ნაციონალისტების“ სხენებას არ ვაპირებდი, მაგრამ „ნაციონალიზმის“ წევრების, მაგალითად, გიგა ბოკერიას, როლანდ ახალაიას სახლებთან მიტინგები მოაწყვეს. სახლთან მიტინგი ოჯახის შეურაცხყოფა და ამის გამო შეიძლება, სისხლიც დაიღვაროს. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება ამ ადამიანებს მიუტკიცოთ?!

კა სჭირდება. შემოიღია, ყველა პოლიტიკური ძალა შევარდნო.

– ახლაც, ტრადიციულად, საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ს ბაზების განთავსებას ითხოვთ...

– აშშ ვალდებულია, საქართველოში თავისი სამხედრო ბაზა იმიტომ განთავსდეს, რომ საქართველო ყოველთვის მხარში უდგას. დღეს აშშ-ს ჰყავს მშვიდობის პრეზიდენტი, მაგრამ როცა ქვეყნის სათავეში რესპუბლიკელი იქნება, ვითარება შეიცვლება და ეს ჩვენი ეპოქალური ნაბიჯი იქნება.

– საზოგადოება თანახმა იქნება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარი განთავსდეს?

– ქართველი ხალხი 70 წელი უცხო სახელმწიფოს მხრიდან ოკუპაციასა და ჩვენს ტერიტორიაზე მისი ბაზების არსებობას მიჩვეული იყო. ახლა, როცა აშშ, როგორც განმათავისუფლებელი, საქართველოში შემოვა, საზოგადოება წინააღმდეგი რატომ უნდა იყოს? დაიმახსოვრეთ, რუსეთს დედას ვუტირებთ და საერთოდ, რუსეთი ვინ ჩემი ფეხებია?!

– როგორ?
უნდა შეიქმნას ანტიპუტინური კოალიცია, მოსკოვში კი, კოალიციური ჯარები შევიდნენ. აშშ იმდენად ძლიერია, რომ შექმნის ისეთ შეიარაღებას, რომლის გამოისობითაც, რუსეთის ერთი რაკეტაც ვერ აფრინდება.

– 2008 წელს, სამხედრო თვალსაზრისით, ყველაზე მეტად აშშ-ს დახმარება გვჭირდებოდა. ამერიკელები რატომ არ დაგვეხმარებენ?

– აშშ რომ არ ყოფილიყო, რუსეთის ტანკები თბილისში შემოვიდოდნენ. რაც შეეხება სამხედრო დახმარებას, სააკაშვილს ნაპუნქტიან გეგმაზე ხელი რომ არ მოეწერა და ქართველებს ცტოტა მეთი წინააღმდეგობა გაგვეჩვენა, კონფლიქტში აშშ-იც ჩაერთვებოდა.

– გვერათ, რომ საქართველოს რუსეთისთვის წინააღმდეგობის განევა შეუძლო?

– როგორ გაუნია წინააღმდეგობა სსრკ-ს ავღანეთში? შესაძლებელი იყო პარტიზანული ომებიც. ლაპარაკი მარცხის მიზეზებზე რომ დავიწყო, ჩემი პოტიციური მოკავშირეების კრიტიკა მომინევს, რასაც მოვერიდებდი. არ მინდა, ვინმე რამეში დავადანაშაულო მანამ, სანამ საერთო მტერს არ დავამარცხებთ.

– მიხეილ სააკაშვილის თქვენს მოკავშირედ განიხილავთ?

– საერთო მტერთან ბრძოლაში ჩემს მოკავშირედ ყველა ქართველს განვიხილავ!

– თანადგომის რომელიმე პოლიტიკური ძალისგან გრძობთ?

– სულ ფეხზე მკიდა... თუმცა, კაკო ბოზოხიძემ დამირეკა, საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა სერგო რატიანთან,

გიგა ბოკერიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მომტანი.
– მომავალ არჩევნებში რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებაში ხომ არ გიხილავთ?
– მე, ირაკლი ნერიაშვილი, არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ შევალ!
– არც კოალიციაში?
– თუკი ყველა პროდასავლური ძალა გაერთიანდება და ამ გაერთიანებაში პირველი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი ლიდერი ვიქნები, ან თუ კოალიცია ჩემს გარშემო შეიკრება, მაშინ განვიხილავ საკითხს. თუ ჩვენ, პროატლანტიკური ძალები არ გავერთიანდებით, მაშინ ბიძინა ივანიშვილი გაიმარჯვებს და ამის მიზეზი ისევ მისი ფინანსური შესაძლებლობები იქნება. „ნაციონალიზმი“, „თავისუფალი დემოკრატია“ და ეროვნული მოძრაობა უნდა გაერთიანდნენ. „ქოცლანდიაშიც“ მოიძებნებიან ადამიანები, რომელთა განხილვაც შეიძლება. ივანიშვილს მივმართავ: ჩემს ყველა მოთხოვნას მხარი დაუჭიროს და საქართველოს ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს. იმ „სირიკოებს“ კი არ უნდა დაუჯეროს, რომლებიც ლუბაკენ და ძირავენ, მე უნდა მომიხსნიოს, თან მისგან ფულს არ ვითხოვ! საერთოდ, შეურიგდეს სააკაშვილს!
– შიშვლილობას მანამ განაგრძობთ, ვიდრე თქვენი ყველა მოთხოვნა არ შესრულდება?

– ჩემი მოთხოვნა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული არაა. საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებას ყველას გან მოვიტხოვ! დღეს ოპოზიციაში ძლიერი, შემარყვეველი ძალა არ არის. ამიტომ საჭიროა საერთო ინტერესების გაზიარება და ერთად დგომა.

– ბატონო ირაკლი, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა უმეტესი ნაწილი ტრაგიკულად აღესრულა. თქვენ როგორ გადარჩიეთ?

– ეს უფლის ნებაა. ეროვნულ მოძრაობაში ყველაზე შეუვალი და უკომპრომისო ლიდერი ვიყავი, არსად დავმალულვარ!

– იზიარებთ „ნაციონალისტების“ ფერისას, ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის არაფორმალური მმართველია?

– საუბარი ვარაუდზე დაყრდნობით არ მიყვარს. არ ვიცი, ქვეყანას არაფორმალური მმართველი ჰყავს თუ არა. თუ ჰყავს, მთავარია, კარგად მართოს. თუ მოისურვებს, დონ კორლეონედაც გადაიტყვეს და თითქმის ნამოციკვას. სხვათა შორის, მფიის წინააღმდეგი არა ვარ. მაფიებმა, ცუდ-თან ერთად, აშშ-სა და სიცილიაში ბევრი კარგი საქმე გააკეთეს.

– ესე იგი, თქვენთვის ოლიგარქია და ქვეყნის კლანური მმართველობა მისაღებაა?

– არა, ასეთი მმართველობის მომხრე არ ვარ, მაგრამ აშშ მაგალითია, სადაც ძლიერი მფია ძლიერ სახელმწიფოსთან ერთად თანაარსებობს. მფიის ძალიან ბევრი მიმდინარეობა მიუღებელია, თუმცა არიან ჯანსაღი ძალებიც. ქურდულ საფაროსა და სიცხილურ მფიის შორის დიდი განსხვავებაა. ქართველი „კანონიერი ქურდები“ არაფრის მაქნისი ბოთები აღმოჩნდნენ!

– ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობა გაქვთ?

– თუ მისი უდიდებულესობა ხალხი მოითხოვს, რომ ხელისუფლებაში მოვიდეთ, არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ!

– თქვენი იდეები თუ ხალხმადრ არ მიიტანეთ, ეს მოთხოვნა როგორ განიხილავთ?

– ჩემი იდეები საერთაშორისო ასპარეზზე გატანილი და აღიარებული, თუმცა მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ სივრცეში მაღალი რეიტინგი იმიტომ არ მაქვს, რომ საქართველოში ბევრი არაჯანსაღად მოაზროვნეა.


– 26 მაისს დემონსტრაციას გგმავთ...

– ყველანი გავერთიანდებით და აუცილებლად შემოგვიერთდება მიხეილ სააკაშვილიც!

– თქვენი მიზნების მოკლე რეზიუმე გააკეთეთ...

– პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზების განთავსება და 26 მაისის დემონსტრაციაზე, რომელიც საკმაოდ მასშტაბური უნდა იყოს, სააკაშვილის ჩამოყვანა!

ესაუბრა ღაბია ბალაშვილი



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კარგა ჯიჯი

საქართველო. საქართველო. საქართველო.

მსახვერტი

„ჯაზახეთიდან საბანგაშო სიგნალი ჯერჯერობით არ ისმის!“



ერაყის არმია თარხან ბათირაშვილი მოკლა?

უსაფრთხოების ექსპერტი ნიკა ლალიაშვილი ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებას ფოტოგრაფიულად აფასებს. ამასთან, ე.წ. პანკისურ საფრთხეებზეც საუბრობს და აქცენტს მიხეილ სააკაშვილის ბაქოურ ვიზიტზეც აკეთებს:

— პანკისის ხეობაში ძალიან ფრთხილი სამუშაო ჩასატარებელი, რომელიც რამდენიმე მიმართულებას გულისხმობს: ერთის მხრივ, ძალიან მკაცრად უნდა გამოვლინონ, რომლებსაც ხალიფატის ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივები ორგანიზებულად მიჰყავთ. ისინი პასუხისმგებელი უნდა მიეცენ, მაგრამ საამისოდ გამყარებული და სერიოზული მტკიცებულებები უნდა არსებობდეს. მეორეს მხრივ კი, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს.

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი, რა თქმა უნდა, ფინანსურია, მაგრამ ის განწყობაც გასათვალისწინებელია, რომლითაც ახალგაზრდების მანიპულირება ხდება.

— რას გულისხმობთ? — იმ რომანტიულ საბურველს, რომელშიც ჯიჯიანი იდეას ახვევენ. ვიცი ადამიანები, რომლებსაც, პანკისის ხეობაში დარჩენის შემთხვევაში, პერსპექტივა არ ჰქონდათ იმის გარდა, რომ თბილისში ჩამოსულიყვნენ და ტაქსაობა დაეწყათ. ამიტომ, ისლამური ხალიფატის რიგებში წავიდნენ და იქ თავბრუდამხვევ კარიერას მიაღწიეს — საქვეყნოდ ცნობილი სარდლები გახდნენ. ეს ფაქტები პანკისელი ახალგაზრდებისთვის მაგალითია...

— რა ამის პასუხია და, აზერბაიჯანში ვიზიტად მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ჯავახეთში შეიარაღება მიმდინარეობს...

— ჯავახეთის ტერიტორიაზე იარაღის საიდუმლო საწყობები ყოველთვის არსებობდა. მაშინ, როცა ჯავახეთში რუსი სამხედროები იდგნენ, იარაღი მათი ბაზიდან გამოდიოდა, თუმცა რუსი სამხედრო ხელმძღვანელობა ამაზე არათუ თვალს ზუსტად, არამედ, ხელსაც უწყობდა, რომ იარაღი მოსახლეობის ხელში აღმოჩენილიყო. ეს გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა — იმ შემთხვევაში, თუ ჯავახეთში პროვოკაციის მოწყობა საქირო გახდებოდა, ადამიანების შეიარაღება ადვილი იქნებოდა.

რაც შეეხება სააკაშვილის განცხადებას, ეს სიტყუა — ჯავახეთიდან საგანგაშო სიგნალი ჯერჯერობით არ ისმის. ისე, ადგილობრივები ხელისუფლების მიმართ ყოველთვის ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, თუმცა არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ, სიტუაციის რადიკალიზაცია მოახდინონ. ისინი სეპარატისტული იდეების პოპულარიზაციას ეწევიან, რადგან უნდათ, ჯავახეთში ტყვია გავარდეს. ოფიციალური ერევანი ამ სეპარატისტულ მოძრაობებს არასოდეს წაახალისებს. ამიტომ საფრთხე გაბუჩებულია, თან ძალიან უსიამოვნოა, რომ სააკაშვილმა ეს განცხადება ბაქოში გააკეთა. ვფიქრობ, უფრო მოზომილად უნდა ელაპარაკა. ამ განცხადებამ იმ ძალეს, რომლებიც ჯავახეთში უმრავლესობას არ წარმოადგენენ, მაგრამ გარკვეული გავლენა აქვთ, შეიძლება, პროვოკაციის საფუძველი მისცეს.

— ბატონო ნიკა, სააკაშვილმა ისიც თქვა, დროა, საქართველოში პრემიერი, ან ქვეყნის

ის ლიდერი აზერბაიჯანელი გახდეს...

— ეს, რა თქმა უნდა, პოპულისტური განცხადებაა — ამით შეეცადა, მასპინძლის გული მოეგო. საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და კანონმდებლობით, პირველი პირობის უფლება ყველას აქვს. ასე რომ, ეს ძალიან ყვითელი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული პოპულისტური განცხადება იყო.

— ქართულმა მხარემ აზერბაიჯანს მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებით მიმართა, თუმცა უარი მიიღო...

— პროკურატურას უნდა სცოდნოდეს, რომ ასეთი სახის ვიზიტები სპონტანურად და დაუგეგმავად არ ხდება, თან მასპინძელი სტუმარს ბორკილს არასოდეს დაადებს. ალიევი სააკაშვილს ზარ-ზეიმით შეხვდა და იმის მიხედვითაა ძნელი იყო, რომ ჩვენი პროკურატურის მოთხოვნა შედეგს არ გამოიღებდა? ეს საკითხი არც უნდა დაეყენებინათ და მომე სახელმწიფოს პირველი პირი უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩაეყენებინათ.

P.S. რამდენიმე დღის წინ, ერაყულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ისლამური სახელმწიფოს საეკლესიო მეთაური, პანკისელი თარხან ბათირაშვილი, ანუ ომარ ალ შიშანი მოკლეს. ამავდროულად, ბათირაშვილი ერაყის პროვინცია სალახ-ედ-დინში ერაყის არმიის მიერ ისლამისტების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის დროს დაიღუპა, თუმცა ერაყის სამხედრო მეთაურობას ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ბათირაშვილის გარდაცვალება „ისტაგრამის“ საკუთარ გვერდზე ჩვენთვის ლიდერმა, რამზან კადიროვმა დაადასტურა. ამასთან, კადიროვმა მოკლული ბათირაშვილის ფოტოც გაავრცელა.

„ისლამის მტერი თარხან ბათირაშვილი, რომელიც საკუთარ თავს ომარ ალ-შიშანის უწოდებს, მოკლულია. ასე დაემართება ყველას, ვისაც თავში აზრად მოუვა რუსეთისა და ჩვენი ხალხის მუქარა. ასეთ ბედს გაიზიარებს ყველა, ვინც მუსლიმთა სისხლს დაღვრის“, — დაწერა სოციალურ ქსელში რამზან კადიროვმა, თუმცა ხელაღებით იმის თქმა, რომ ბათირაშვილი მოკლულია, ან ცოცხალია მაინც არ შეიძლება...

ნათია ლუბანიძე

ომის ნაკვალევი

„ღვთის მოშივი რომ არ ვიყო, აქამდე თავს არ ვიცოცხლებდი!“

მინა, რომელიც ერთ დროს მათი საკუთრება იყო... სახლი, რომელშიც ერთ დროს ცხოვრობდნენ... დღეს მათთვის უცხოა... 2008 წლის აგვისტოდან ე.წ. ნეროვანის გეტოში ცხოვრობენ... ისინი დახმარებას ითხოვენ... „ქართული სიტყვა“ ორ სამარაგლოდ დავნიღს ესაუბრა.



რამდენიმე წეროვანის „დევილთა გეტოდან“

ინ ძმობილი, ახალგორიდან დევნილი: „ახალგორში ვერ შევდივარ — საზღვრის გადასაკვეთად ფორმა №9 არის საჭირო, რის გაკეთებასაც, დაახლოებით, ერთი წელი სჭირდება. ისიც საკითხავია, ამ ხნის განმავლობაში გაკეთდება თუ არა და, და თუ ვერ გაკეთდა, ახალგორში დამტოვებენ და აქეთ ვეღარც გამოვალ. მესამე წელია, ახლობლების საფლავებსაც ვერ ვეკარები... სოციალურად დაუცველი სამი შვილის ინვალსიდი დედა ვარ, მაგრამ ჩვენი არც მთავრობა და არც ჩვენი სოფლის გამგეობა არ ინტერესდება“.


„ბავშვი დღემდე წამლებზე მყავს, ვაშლივით ვარ გახლენილი: ბავშვის ჯანმრთელობას მივხედო, საქმელ-სასამელზე ვიფიქრო თუ იმაზე, გოგო ბუტონზე რომ მიწვეს? დიმიტრი ხუნდაძე, დღეს რომ ჯანდაცვის კომიტეტში ბრძანდება, ვიდრე მთავრობაში მოვიდოდა, ოქროს კოშკებს გვიგებდა, ახლა კი, ყველაფერი დაავიწყდა. ჩემი განცხადებებით შენუხებულმა დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილმა დამირეკა და მითხრა, აღნიშნულ პრობლემაზე მე კი არა, ადგილობრივ გამგეობას უნდა მიმართო, ვალდებულა, ეს პრობლემა აღმოვხვრასო. გამგეობაში მისულს კი, ბატონმა ზვიადმა ორი დღე მოცდა მიხოვა, მაგრამ მას შემდეგ სამი თვე გავიდა. არც გამგებლის მოადგილე ნუგზარ კახნიაშვილი გამოჩენილა, რომელიც საკუთარი სახსრებით დახმარებას დამპირდა“, — ამბობს ქალბატონი მანანა.

„ღვთის მოშივი რომ არ ვიყო, აქამდე თავს არ ვიცოცხლებდი“, — ამბობს „ნეროვანის გეტოს“ კიდევ ერთი მცხოვრები მანანა პაპიტაშვილი... მეზობლისგან ნათხოვარი ხალიჩა, მინაზე დაგებული მატრასი და ფანჯრებზე გაკრული ტილოები — სულ ესაა მისი ავლა-დიდება. ქალბატონი მანანა ავადმყოფ შვილთან ერთად ცხოვრობს: 8 წლის ლოლიტას მწვავე ნევროზული სინდრომი, ანუ ორივე თირკმლის ნევრიტი დაუდგინდა.

ისე, ალბათ, დროა, პოლიტიკოსებმა რაღაცების ერთმანეთზე გადაბრალებას თავი ანებონ და გაჭირვებულ ხალხს მიხედონ...

მარიამ კაპილაშვილი





საქართველოს
საქართველო. კომუნისტური

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა“
კარგა ჯიჯი

კოლეგა

ჟურნალისტი, რომელმაც აჭარის რეპორაჟიზის დროს, ჩოლოქის ხიდის აფეთქება გადაიღო

„ძალიან მიყვარს ჩემი წარსული – ყველა წელი, ყველა დრო, ყველა ასაკი... ვთვლი, რომ საინტერესოდ გიცხოვრე. სირთულეც ბევრი მქონდა და სიხარულიც“ – ამბობს ადამიანი, რომელმაც ჟურნალისტიკა 15 წლის ასაკში დაიწყო – მე-18 სკოლა-ლიცეუმის პედაგოგმა, თამარიკო შაიშველაშვილმა გაზეთ „თბილისში“ სტაჟორად მიიყვანა... როგორი არიან ადამიანები, ვინც ახალ ამბებს ქმნიან და მუდმივად მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებენ? – „ქართული სიტყვის“ ახალ რეპორაჟში, რომელსაც „კოლეგა“ დავარქვით, ინტერნეტ-პორტალ „კვირა.გე“-ს დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს, ქეთი ხოსიტაშვილს წარმოგიდგინებ:

რომლების გუნდური მუშაობა და არაჩვეულებრივი ურთიერთობები იყო. ერთმანეთს ვეხმარებოდით, გვექონდა „ჟილკა“, მუსტი, გვიყვარდა ერთმანეთი და საქმე, რომელსაც ვაკეთებდით, ამიტომ ყველაფერი იდეალურად გამოგვივიდა! მენატრება ის წლები, მენატრებიან ადამიანები, ურთიერთობები... უზარმაზარი სიყვარული, რომელიც და. ვთვლი, რომ ამ პროექტმა ბევრი კარგი გააკეთა – საზოგადოებას პოლიციის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეუცვალა, მისი ნდობა მოიპოვა. მაშინ ჩვენს განყოფილებაში კიდევ რამდენიმე სატელევიზიო პროექტი მზადდებოდა. ეს ძალიან დატვირთული, თუმცა ნაყოფიერი წლები იყო.

ყველაფერი ასე დაიწყო...
...მიუხედავად იმისა, რომ რთული დრო იყო – 90-იანი წლები, დაქვევლი ქვეყანა, მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტები და ქვეყანა სოციალური კატასტროფის ზღვარზე იდგა – არა დენი, არა ტრანსპორტი, არა ფული... ლიცეუმში ძალიან კარგი პედაგოგები გვყავდა: გიორგი მურღულია, თამარ მეიფარიანი, თამარიკო შაიშველაშვილი, რომლებიც, პირველ რიგში, თავისუფალ აზროვნებას გვასწავლიდნენ... 1993 წელს, საქართველოში სულ რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა... მასსოვს, მარჯანიშვილზე, შეროზიას ქუჩაზე, გაზეთების ბიბლიოთეკა იყო, სადაც კვირაში რამდენჯერმე მივდიოდი და ძველ გაზეთებს ვკითხულობდი, რათა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ საკითხებში გავრკვეულიყავი... ძალიან დამეხმარა ჩემი პედაგოგი თამარიკო შაიშველაშვილი და გაზეთ „თბილისის“ ეკონომიკის სფეროს ჟურნალისტი ლალი ზირაქიშვილი... აბიტურიენტი ვიყავი, ჩემს ოჯახს შესაძლებლობა არ ჰქონდა, სხვადასხვა საგანში კერძო რეპეტიტორებთან მოვემზადებინე, სწორედ ეს 2 ადამიანი, სამსახურის შემდეგ, ხშირად მტოვებდა და მამეცადინებდა...



პროფესიად ჟურნალისტიკა რომ ავირჩიე, ამას ჩემი ოჯახი თავიდან სკეპტიკურად შეხვდა. რთული დრო იყო – ქუჩაში ხალხს აყაჩაღებდნენ და გვიანობამდე ქუჩაში ყოფნა რომ მიწევდა, ნერვიულობდნენ. ხშირად ყოფილა, ორთაჭალიდან მუშთაიდის ბალამდე (სადაც ჩემი ლიცეუმი მდებარეობდა), ფეხით მივდიოდი – ტრანსპორტი არ მოძრაობდა... მერე, – რუსთაველზე, გამომცემლობაში, იქიდან – კიდევ სადღაც... დროსთან ერთად, ჩემი ოჯახის წევრები მიხვდნენ, რომ ეს ჩემი საყვარელი საქმე იყო და ხელი არ შეუშლიათ. პირიქით, ძალიან გაგებით, მოთმინებით იტანდნენ და დღემდე იტანენ თავგადასავლებითა და ხიფათით აღსავსე ჩემს ცხოვრებას.

ლიცეუმის შემდეგ, ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, სტუდენტობის წლები არ მიგრძენია – ვმუშაობდი... გზა ჩემით, პროტექციის გარეშე გავიკვალე... დავიდიოდი რედაქციიდან რედაქციაში და ყველას ვეუბნებოდი: გამარჯობა, მე ქეთი ხოსიტაშვილი ვარ, ვიცი, რომ არაფერი ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ შევძლებ... ასე მოვხვდი 1997 წელს გაზეთ „7 დღეში“. მაშინ ეს გამოცემა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაზეთად ითვლებოდა. ძალიან კარგად მასხენდებდა ის რამდენიმე წელი, რაც „7 დღეში“ გავატარე. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი ამ გაზეთმა მომცა... არაჩვეულებრივი, შეკრული კოლექტივი გვყავდა, ჯანსაღი, სუფთა, სალი, თბილი ურთიერთობები... ამდენი წელი გავიდა და ისევ გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა – იშვიათად, მაგრამ ვიკრიბებით, ვისხენებთ ძველ წლებს.

მთელი ცხოვრება მომყვება.
დღეს, როგორც დამწყებ, ასევე შემდგარ ჟურნალისტებს, ძალიან დიდი შესაძლებლობები აქვთ – თუ ძველ წლებს შევადარებთ, თანამედროვე საქართველოში ახალი ამბების კეთება გაცილებით მარტივია. არსებობს ყველანაირი შესაძლებლობა, მთავარი მონდომება და შრომა... ამიტომ, ვერასოდეს გავუგებ იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ მუშაობის პირობები არ აქვთ და საქმეს სრულყოფილად ამიტომ ვერ აკეთებენ, ანდა, წუნუნებენ, რომ არ ჰყავთ „პატრონი“, ვინც დასაქმებაში დაეხმარება... ეს ჩემთვის წარმოუდგენელია! „პატრონი“ არასოდეს მყოლია, თან მედიასივრცეში დიდი კონკურენციაა, არსებობს უამრავი მედიასაშუალება და ყველა მოტივირებულ ადამიანს შეუძლია, საკუთარი თავის, შესაძლებლობების რეალიზება... ამის გულწრფელად მჯერა!


მოგვიანებით, საინტერესო შემთავაზება მივიღე და საცხოვრებლად ბათუმში გადავედი, სადაც თითქმის წელიწადნახევარი არხის მთავარ პროდიუსერად და სამხატვრო ხელმძღვანელად ვიმუშავე. უცხო ქალაქში ცხოვრება თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ვთვლი, რომ ესეც ნაყოფიერი წლები იყო, რამაც დიდი გამოცდილება და ბევრი მეგობარი შემძინა... ბათუმში ცხოვრებისას დავოჯახდი და თბილისში დაბრუნება მომიწია. ერთხანობას, გაზეთ „პრაიმ-ტიმში“, რადიო „მუზაში“, „რეალ-თV“-ში ვიმუშავე. ამ დროს უკვე 2 შვილი მყავდა და გამიჭირდა, მუშაობა მცირეწლოვანი ბავშვების გაზრდასთან შემთავსებინა. ამ და სხვა მიზეზების გამო, ერთი წელი აქტიურ მედიას მოვწყვიდი და პიარში გადავიინაცვლე – მუშაობა ამერიკულ ცენტრ „ლანგეითში“, პიარმენეჯერად დავიწყე, სადაც, ჩემი ავტორობით, არაერთი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ, მათ შორის, ქართული ზღაპრები („ნაცარქექია“, „სუთკუნჭულა“, „ნიქარა“ და სხვები) ინგლისურ ენაზე ვთარგმნეთ, ორენოვანი წიგნი გამოვეცით და აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს გავუზავნეთ...

სხვადასხვა წლებში არაერთ გამოცემაში ვწერდი: „დილის გაზეთი“, „ახალი ეპოქა“, ასევე, ჟურნალებში... მერე იყო ტელევიზიები... ტელეჟურნალისტიკაში „ეკრიკა-დან“ მოვხვდი – მეგობრებთან ერთად ახალ ამბებს ვაკეთებდი. სიუჟეტების მომზადებაც, პრაქტიკულად, დამოუკიდებლად, ვინავე – სხვების გამოცდილებას ვიზიარებდი.
მერე იყო ტელეკომპანია „იბერია“, სადაც თითქმის 5 წელი ვიმუშავე, ძირითადად, სამართლის და კონფლიქტების მიმართუ-

ლებით. ეს ტელეკომპანია უზომოდ მიყვარს, რადგანაირად ჩემია და მიხარია, რომ მაყურებელი ეთერში მალე იხილავს... მიწადა, ყველა „იბერიულს“, ძველსაც და ახალსაც, ეთერში დაბრუნება მივულოცო. სხვათა შორის, ეს ტელეკომპანია იყო პირველი დამოუკიდებელი არხი, რომელმაც წინა ხელი-სუფლები დროს, რეპრესია განიცადა: ყველაზე გვახსოვს, როგორ წაართვეს „იბერია“ კანონიერ მეპატრონეებს და როგორ დახურეს. მიხარია, რომ დღეს კანონიერ მფლობელებს კვლავ დაუბრუნდა და ძალიან ვგულეხმარებ მემპატრონეებს. ვთვლი, რომ ამ მედიასაშუალებაში, წლების განმავლობაში, არაერთი ღირსეული და პროფესიონალი ჟურნალისტი გაზარდა.
მომდევნო ტელეკომპანია, სადაც თითქმის 3 წელი ვიმუშავე, „1 არხი“ იყო, გაერთიანება „მოამბე“. აქ ქალბატონ ნატო ონიანის, ზაზა შენგელიასა და თაკო ფხაკაძის დამსახურებით მოვხვდი – მათი ამაგი არასოდეს დამავიწყდება. ეს იყო არხი, სადაც პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად, სახელმწიფოებრივი აზროვნება ვისწავლე. აქაც კონფლიქტების და სამართლის მიმართულებით ვმუშაობდი... მიუხედავად იმისა, რომ უამრავი პრობლემის და გამომწვევის წინაშე ვიდექით, მაინც უღამაზესი წლები იყო. დღესაც მიკვირს, როგორ ვახერხებდით ყოველდღიურად ერთსაათიანი გამოშვების მომზადებას, კარგ შემთხვევაში, 3 ტელეკამერით... ნიუსრუმში სამყოფი კომპიუტერები კი არა, სკამებიც კი არ გვექონდა, არ გვექონდა ტექსტის დასაწერად თაბახის ფურცლები... გვექონდა ერთი ქალაქის ტელეფონი, არ გვექონდა ტრანსპორტი... და მაინც: „მოამბეში“ ცხოვრება დულდა! ხანდახან, ჩვენი პროდიუსერი, ია კერესელიძე ჩვეულებრივი ჯადოქარი მეგონა... არ ვიცი, როგორ ახერხებდა, თავი მოეხა ამდენი პრობლემისთვის... მთავარი ჩვენი, თანამუ-

შეხვედრები იყვნენ, როგორც მთლიან, ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები – ყოველთვის ჩემი თავი და პირველი ნაბიჯები მასხენდებდა. მიხარია, რომ ნიჭიერი, კრეატიული, მოტივირებული თაობა მოდის. ალბათ, დადგება დრო, როცა ასპარეზი მათ უნდა დაუთმოთ, თუმცა მანამდე ვალდებულნი ვართ, ჩვენი გამოცდილება გადავცეთ. ისევე, როგორც მე გამზარდეს თავის დროზე. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი რედაქტორები: ზვიად ქორიძე, ლუბა ელიაშვილი, ზაზა შენგელია... სხვები და სხვები....
„პირველი არხიდან“ შსს-ს პრესსამსახურში გადავედი, სადაც ვადაცემა „პატრულის“ მთავარ პროდიუსერად ვმუშაობდი. ეს მაშინ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტი იყო, „რუსთავი 2“-ზე გადაი-

საერთოდ, ასეთი დიდი და სასარგებლო პროექტების კეთება ძალიან მიყვარს. მაგალითად, გოჩა მუხანიაშვილთან ერთად, თანავეტორი ვარ მასშტაბური პროექტის, რომელიც 2 წლის წინ, №18 საპატიმრო დანესებულებაში განხორციელდა. ეს იყო ლიტერატურული კონკურსი – „კალამი“. პროექტის მხარდაჭერები სასჯელალარსების დეპარტამენტი, კულტურის სამინისტრო და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა გახლდათ. მასში ჩართვის სურვილი ასობით პატიმარმა გამოთქვა – მოგვანოდეს ლექს-



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე“

კონსტანტინე

საქართველო
საქართველო

დედობრავია

საქართველოში მალე ქალების დეფიციტი იქნება!



საბანაშო ფაქტები და სტატისტიკა

ერთხელ, ერთი ცნობილი მსახიობისთვის უკითხავთ, რა გააკეთებს „ნაციონალებმაო“. უპასუხია, მაგათ რა უნდა გააკეთებინათ, თვითონ ახლიდან „გააკეთებლები“ არიანო. ეს „ფრთხიანი“ ფრაზა მაშინ გამახსენდა, როცა სტატისტიკის ეროვნულმა სააგენტომ, 2014 წლის ნოემბერში ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა და საგანგაშო მასალები დადო — მოსახლეობის კლების მიზეზად, ექსპერტებმა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდი დაასახელეს. მაინც, რა კავშირშია ყოფილი ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობის შემცირებასთან? — „ქართული სიტყვავე“ დემოგრაფიული განვითარების ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ანზორ თოთბაძე ესაუბრა:

— დემოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველოში ყოველთვის უმძიმესი მდგომარეობა იყო, მაგრამ ახალმა საყოველთაო აღწერამ, რომელიც გასული წლის ნოემბერში ჩატარდა, კიდევ უფრო შემაშფოთებელი შედეგები გვაჩვენა. ამ სიტუაციას შეიძლება, კატასტროფულიც ვუნოდოთ: თუ ასე გაგრძელდება, რამდენიმე ათეულ წელიწადში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქართველი, პრაქტიკულად, აღარ დარჩება.

— რატომ?
— გასული წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში 3 729 635 ადამიანი ცხოვრობს. წინა აღწერის დროს კი, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, 4 371 535 ცხოვრობდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა 15%-ით შემცირდა. ამ აღწერის მიხედვით, ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა, სოფლის კი, საგრძობლად შემცირდა. გამოდის, რომ 2002 წლიდან დღემდე, საქართველოს მოსახლეობა 700 ათასზე მეტით შემცირდა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ამ აღწერის შემდეგ გამოიკვეთა, ისაა, რომ განსაკუთრებით შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. მაგალითისთვის ავიღოთ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც წინა აღწერით 51 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ამჟამად კი 32 ათასი ცხოვრობს. სამეგრელო-ზემო სვანეთში ცხოვრობდა 466 ათასი, ამჟამად — 331 ათასი. ასეთივე ტენდენციაა სხვა რეგიონებშიც.

— ამის მიზეზი რა არის?
— შობადობაზე უამრავი მიზეზი მოქმედებს, მაგრამ მთავარი მიზეზი „ნაციონალური“ ხელისუფლებაში მოსვლა და მისი ცხრანლიანი მმართველობაა.

— ახლა, არ მითხრათ, ბატონო ანზორ, რომ „ნაციონალები“, ყველაფერთან ერთად, ხელს ერის გამრავლებასაც უშლიდნენ...

— „ნაციონალების“ ხელისუფლებამ ყველა შეღავათი, რაც შეეძინა ხელისუფლებამ მრავალწლიანი ოჯახების წასახალისებლად შემოიღო, გააუქმა. არსებობს კიდევ უამრავი მიზეზი, მათ შორის, ერთს დაგისახელებთ და ყველაფერი ნათელი გახდება.

— გისმენთ, ბატონო ანზორ...

— ნუ გამანყვეტინებთ და გეტყვი: „ნაციონალური“ მოძრაობის“ მესვეურებს უნდოდათ, მოსახლეობა მორჩილებით მყოფობდათ და მთელი საქართველო გისოსებში ჩაესვიათ. „ნაციონალებმა“, თავიანთი ბატონობის ცხრა წელიწადში, ციხეები უდანაშაულო ადამიანებით გაავსეს, არადა, ამ პერიოდში პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო. ამის დამადასტურებელი თუნდაც ისაა, რომ საქართველოდან ბოლო წლებში, სხვადასხვა ქვეყანაში, თითქმის მილიონნახევარი ადამიანი გავიდა. მიგრანტების დიდი უმრავლესობა კი, 20-60 წლის ასაკისანი იყვნენ. ამიტომ ქვეყანაში უმეტესად არასრულწლოვანი და დაბერებული ადამიანები დარჩნენ, რომელთა შორისაც დანაშაულის ჩადენის ალბათობა ძალიან მცირეა. „ნაციონალები“ თავიდანვე გეგმავენ პატიმრების რაოდენობის გაზრდას, რადგან დიდი სურვილი ჰქონდათ, მათი ქონება ხელში ჩაეგდოთ.

— უკაცრავად, მაგრამ ეს მოსახლეობის შემცირების ტენდენციასთან რა კავშირშია?

— პატიმრების რაოდენობის შემცირების ტენდენცია კომუნისტების ბატონობის დროს შეიმჩნეოდა. საქართველოში კი, პატიმრების რაოდენობა განსაკუთრებით 2004 წლიდან გაიზარდა. ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს, საქართველოში 25 ათასი პატიმარი იყო, მოსახლეობის რაოდენობა კი, — ოთხ მილიონზე მეტი. ესე იგი, ყოველ ასი ათას ადამიანზე 556 პატიმარი მოდიოდა, რაც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გახლდათ. ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს მოსახლეობა ოთხმილიონნახევარი იყო, არადა, როგორც აღმოჩნდა, სამილიონნახევარზე ცოტა მეტი ვყოფილვართ. ამიტომ თუ ამაზე გავიანგარიშებთ პატიმართა რაოდენობას, მივიღებთ, რომ ყოველ ასიათას მოსახლეზე 845 პატიმარი გვეყოლია. ამას დაუმატეთ პროპაგანდისტული რეკლამის 300 ათასი ალწვედა. დიდ შეცდომას არ დაუშვებთ, თუ ვიტყვით, რომ პატიმართა დიდი უმრავლესობა მამაკაცი იყო — ისინი გამრავლებით ხელს ყველაზე აქტიურ ასაკს ციხეში ატარებდნენ. ეს კი ერის განადგურების ტოლფასია!

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამ მიმართულებით რა შეიცვალა?

— ძალიან ბევრი რამ შეიცვალა... ამ დანაშაულის ყველა მონაწილე ხელს ერთი კაციც კენ გაიშვერს და ის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილია. გეკითხებით: როცა ადამიანები ასეთ მდგომარეობაში იყვნენ, შეიძლება, მათ გამრავლებაზე ეფიქროთ? ეს რომ არა, ყოველი ათი პატიმრის და პროპაგანდისტის ოჯახში, სულ მცირე, ერთი ბავშვი დაიბადებოდა და 40 ათასზე მეტი ბავშვი გვეყოლებოდა!

— ახალი ხელისუფლების მოსვლისა და საყოველთაო ამნისტიის მერე, შობადობა გაიზარდა?

— ერთი რამ ძალიან მიკვირს: „ოცნების“ ხალხი იმას, რასაც აკეთებს, როგორც ახლა ამბობენ, ვერ აპირებენ. ამ მიმართულებით უამრავი რამ გაკეთდა, მაგრამ საზოგადოებამ ეს არ იცის.

— მითხრით, რა გაკეთდა?

— იმ პროგრამების შემუშავებაში, რაც ორი წლის განმავლობაში გაკეთდა, მეც ვმონაწილეობდი. იმისთვის, რომ შობადობა წახალისებულიყო, სახელმძღვანელოები უფასო გახდა და ამაზე მილიონობით ლარი იხარჯება. ბავშვებზე უფასოა, მესამე მშობიარობა, მთელი საქართველოში, უფასოა და ამაში 50 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

— მხოლოდ უფასო მშობიარობა და სახელმძღვანელოები საკმარისი არ არის. ბავშვის გამოკვება მთავარი პრობლემა!

— სადეკრეტო შევსება აქამდე, ოთხ თვემდე იყო, ახლა ექვსამდე გაიზარდა. სადეკრეტო შევსების ანაზღაურება კი, 600-დან — ათას ლარამდე. რაც მთავარია, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის კლება დაწყებული, ანუ უფრო მეტი კვდება, კიდევ იბადება და ასეთი რეგიონები ძირითადად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული, ვინც მესამე ბავშვს გააჩენს, ყოველთვიურად, ბარში, 150 ლარს აძლევს, მთაში კი, — 200. ეს ის ღირსიძიებებია, რასაც ამ დროისათვის ბიუჯეტი გასწვდა და კარგია, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა სოფელი დაცარიელებულია. მაგალითად, კახეთში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, 60 ათასი ბავშვი იბადებოდა, ბოლო ათწლეულში კი, 20 ათასი დაიბადა. ვთვლი, რომ ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა, საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ 20 ათასში უმეტესობა ეთნიკურად არაქართველია. უბრალოდ, ტიტულოვანი ერი, ანუ ის, ვინც სახელწოდება მისცა ქვეყანას, არ უნდა გა-

ქრეს და ამიტომ გული ძალიან მტკივა.

— პატიმრები და პროპაგანდისტები მედლის ერთი მხარეა, მეორე კი, — ემიგრანტები, რომელთა უმრავლესობა ქალია, თან — რეპროდუქციულ ასაკში, რას აკეთებს სახელმწიფო ემიგრანტი ქალების დასაბრუნებლად?

— ეს ძალიან კარგი სურვილია, მაგრამ ამის შესრულებას მხოლოდ მაშინ შეუძლებელია, როცა ქვეყანაში ეკონომიური პირობები გაუმჯობესდება. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ქართველების დიდი უმრავლესობა, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, თავის ქვეყანაში ცხოვრობდა. საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე — სხვა რესპუბლიკების. უცებ, ყველაფერი რომ მოიშალა, ყველა ადგილი და სხვა ქვეყანაში წავიდა. გამოკითხავლეთ და, მხოლოდ 2008-დან 2014 წლამდე, 740 ათასი ქართველია საზღვარგარეთ წასული. ბუნებრივად გვინტერესებს, დაბრუნდებიან თუ არა? — ამის თქმა ძალიან ძნელია. ალბათ, ის დაბრუნდება, ვინც დროებითაა წასული და ოჯახი საქართველოში ჰყავს. მისი დაბრუნება კი, ვინც უკვე ათი-თხუთმეტი წელია, ოჯახთან ერთად, საზღვარგარეთ ცხოვრობს, ძნელია.

— რა უნდა გავაკეთოთ, რომ ქართველები, როგორც ერი, არ გადავწყნდეთ?

— საჭიროა სოლიდარობა და ერთი მიზნისთვის გაერთიანება. უნდა მივხედოთ უმძიმეს დემოგრაფიულ სიტუაციას. სოლიდარობის ერთ მაგალითს მოგიყვანთ და მიხედვით, რა უნდა გავაკეთოთ: ვახტანგ ნიკეივიძე „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დამფუძნებელია და, გარდა იმისა, რომ დემოგრაფიული კვლევებისათვის ჯგუფი შექმნა, ისიც გააკეთა, რომ თუ თავისი თანამშრომელი შვილის გაჩენას მოინდომებს, დასაწყისშივე აძლევს ოთხას ლარს, მშობიარობის შემდეგ კი, — სამი ათასი, ერთი წლის განმავლობაში მთლიანად უზარუნებს ხელფასს. ამიტომ, თუ ადრე ერთი ფეხმძიმე ქალბატონი იყო უნივერსიტეტში, ახლა შვიდია. არ გეგონოთ, რომ მას ბევრი ფული აქვს, ამას ეროვნული გრძობით აკეთებს.

კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: 2018-20 წლიდან შობადობა აუცილებლად შემცირდება და იმიტომ, რომ, თუ 90-იან წლებში 495 ათასი გოგონა დაიბადა, ბოლო ათწელიწადში, — 296 ათასი. როცა ეს გოგონები დედობის ასაკს მიაღწევენ, მაშინ აუცილებლად შემცირდება შობადობა. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, რომ ეს პროცესი შევანელოთ და მერე ვიზრუნოთ გამრავლებაზე.

ესაუბრა ნათია ჰერძეული

დედობრავია



ამერიკული სამხედრო ალჭურვილობა ვაზიანისკენ მოეხარტება

ბულგარეთის ქალაქ ვარნადან ამერიკული სამხედრო ალჭურვილობა ვაზიანის საწვრთნელი ბაზისკენ დაიძრა. ამის შესახებ ნატო-ში აშშ-ის წარმომადგენლობა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე წერს. სამხედრო ალჭურვილობას საქართველოში სამხედრო წვრთნის Noble Partner-ის ფარგლებში ჩამოიტანენ. აღნიშნულ სწავლებაში, დაახლოებით, 600 ქართველი და

ამერიკელი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას. წვრთნა საველე სწავლებასაც მოიცავს. მისი ამოცანაა, ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში საქართველოსა და აშშ-ის ჯარების თავსებადობის ამაღლება. წვრთნები ვაზიანის სამხედრო ბაზაზე 11-25 მაისს გაიმართება.

„ინტერპრესნიუსი“



საქართველო
საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარინა ლინჩი



„სხვა
შუადღის“
ნაყვანა
გავლენიანი
ჟურნალის
რედაქტორობაზე
უარი თქვა!

მშვენიერი, სანიმუშო მეუღლე და დედა გვანცა დარასელია გამორჩეული ტელენაყვანია, რომელიც ეკრანზე ადრეულ ასაკში გამოჩნდა და მალე საყოველთაო მონონება დაიმსახურა. გვანცა, როგორც მისი კოლეგები ამბობენ, დაუღალავი შრომით გამოირჩევა...

– საუბარი, მოდი, პატარა გვანცა და ვინცოთ – როგორც ვიცი, ცელქი ბავშვი იყავი...

– ნამდვილად ვერ უარყოფ: შავგვრემანი, ბიჭური სტილის ბავშვი ვიყავი, თვალი ყოველთვის ეზოსკენ მეჭირა და „მოსიარულე პრობლემას“ მეძახდნენ. ხუთ წლამდე, თიანეთში, ბებიასთან ვიზრდებოდი და ჩხუბი, ძირითადად, ბიჭებთან მექონდა. თუ არავისთან ვიჩხუბებდი, იმ დღით თავს უგუნებოდ ვგრძნობდი (იცინის)... თიანეთში გატარებული თითოეული დღე კარგად და ტკბილად მახსენდება. ისიც კი მახსოვს, მამამ თბილისში რომ ჩამომიყვანა, თუ როგორი ავტობუსით ვიმგზავრე და სად ვიჯექი.

მაშინ საკმაოდ ვინროდ ვცხოვრობდით – ერთოთახიანი. მშობლებმა მე და ჩემი ძმისთვის ორსართულიანი საწოლი შეიძინეს. მე მეორე სართულზე მეძინა, სადაც სათ-

ამაშობებდნენ.

სიცელქეში ტოლს სკოლაშიც არავის ვუდებდი. ამავე დროს, კარგად ვსწავლობდი – მასწავლებლებსაც ვუყვარდი. შემოქმედებითაც ძალიან აქტიური ვიყავი.

– პატარა გვანცას დიდ ოცნებებზე რას მეტყვი? – ჟურნალისტობა მიზანში, ალბათ, სწორედ მაშინ ამოიღე...

– რომ წამოვიზარდე, სიარული ჟურნალისტისკენ წრეზე დავიწყე, ძალიან მომეწონა და დავინტერესდი. გამოგიტყდები და, მართლაც, ვოცნებობდი, კარგი ჟურნალისტი გამოვსულიყავი, განსაკუთრებით იმ დღიდან, როცა სკოლაში ცნობილი ჟურნალისტები, მათ შორის, ნოდარ მელაქე და თამთა სანიკიძე მოინვიეს.

– იმის თქმა გინდა, რომ შემოქმედებით მორევში ისე იყავი გადავარდნილი, სიყვარულისთვის არ გეცალა?

ცნობილთა უცნობი აზრები

რატომ ეძახდნენ გვანცა დარასელიას „მოსიარულე პრობლემას“

– სასიყვარულო გატაცებები, რა თქმა უნდა, იყო. პირველი სიყვარული ნადრევი ასაკში მეწვია და ძალიან გულნატკენი ვიყავი – მეგონა, ცალმხრივი იყო, მისი მხრიდან ვერაფერს ვგრძნობდი. როცა გრძნობა გამინელდა, სიყვარულში თვითონ გამომიტყდა, რასაც ღიმილით შევხვდი. საერთოდ, ამ საკითხში ძალიან პრაგმატული ვიყავი და დიდი გამოცდილებითაც ვერ დავიკვებინი. იყო სხვა პატარა-პატარა ურთიერთობა, ზოგი ფლირტის დონეზე, თუმცა სერიოზული არაფერი ყოფილა. ამას ბავშვურ სიყვარულს დავარქმევდი, მაგრამ კარგი გასახსენებელია. ეს ჩემი წარსულია და ტკბილ მოგონებად დამრჩა.

– იმ საჩუქრებსაც, რომელსაც თავყვანისმცემლებისაგან იღებდი, ალბათ, ტკბილად იხსენებ, არა?

– კოლეგები ნამდვილად არ შემეგროვებია... სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემ გამიკეთა ორიგინალური სიურპრიზი – ყვავილები სახანძრო მანქანით, მეხანძრის ფორმაში გამონყობილმა მომართვა. ყოფილა შემთხვევა, შინიდან რომ გამოვსულვარ, ხუთივე სართული ვარდების ფურცლებით მოფენილი დამხვედრია. ჩემი მეუღლე ამბობს ხოლმე, გვანცას ვერაფრით გავაკვირებ, იმდენი სიყვარული და საჩუქრები აქვს მიღებული, თუმცა ყოველთვის ცდილობს, პატივი მცეს და კარგი განწყობა შემექმნას... ოჯახს გარკვეული ნიუანსებიც ახლავს.

– სიტყვა „მაგრამ“ კითხვის ნიშნის ტოვებს. მეუღლე ხომ არ ეჭვიანობს, ან ხომ არ კამათობს ხოლმე?

– ხშირად ვკამათობ... ჩვენი შეხედულებებითა და აზრებით ერთმანეთისაგან ძალიან განვსხვავდებით. თამამად შემიძლია ვთქვა: ბევრი რამ დამითმია და დღემდე ვთმობ. ვცდილობ, სანიმუშო მეუღლე და დედა ვიყო. გული ზოგჯერ იმაზე მწყდება, როცა შენ ნაბიჯს და მცდელობას სათანადოდ ვერ აფასებენ.

რაც შეეხება ეჭვიანობას, ამ მხრივ „გადახრა“ ორივეს გვაქვს. ვახოს ზოგჯერ იმაზე უეჭვიანია, თუ დამინახა, რომ ვინმესთან ვსაუბრობ, უკითხავს, ვინ იყო, რა უნდოდაო (იცინის). სხვათა შორის, იმასთან შეგუება, რომ ქუჩაში თვალს მაყოლებენ – ალბათ, იმიტომ რომ ეკრანიდან მიცნობენ, ძალიან გაუჭირდა. ზოგს გამოლაპარაკებაც უცდია, არც მე ვარ მათდამი გულგრილი, რადგან ჩემი მაყურებელი ძალიან მიყვარს და უზომო პატივს ვცემ. ვახოს კი ვეუბნები

ხოლმე, რა გინდა, მიყურონ, ლამაზი ვარ და შენი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე-მეთქი (იცინის).

– ეჭვიანობამ პიკს, ალბათ, მაშინ მიაღწია, როცა ერთ-ერთმა რუსულმა ინტერნეტ-საიტმა ყველაზე ლამაზი ქართველ ქალად დაგასახელა, არა?

– პირიქით, ვახოს ძალიან გაუხარდა, ამბობდა, ყველაზე ლამაზი ცოლი მყავსო. სხვათა შორის, სუბექტური იყო ეს შეფასება, თუმცა სასიამოვნო მოსასმენი. საქართველოში ლამაზ ქალებს რა გამოლევს – ჩვენ ხომ ამ მხრივ უნიკალური ქვეყანა ვართ!

– სანიმუშო დედა, კარგი მეუღლე, ლამაზი და წარმატებული ქალი... როგორია გვანცა დარასელია, როგორც დიასახლისი?

– თითქმის ყველაფერი მეხერხება, მაგრამ ზარმაცი ვარ. არ მიყვარს გაუთოება, იატაკის მონეწვა. თავს გაცილებით კარგად სამზარეულოში ვგრძნობ – მიყვარს გემრიელი კერძების მომზადება. ვცდილობ, ისეთი რამ მოვამზადო, რაც ჩემს მეუღლესა და შვილს უყვარს, შესაბამისად, პროდუქტებსაც მე ვყიდულობ, რადგან ვიცი, რომელი კერძისთვის როგორი პროდუქტი უნდა შევიძინო. ვახოს ძალიან უყვარს ჩემი მომზადებული ჩახობილი, წვნიანები და ქათამი მაიონეზოში. შაბათ-კვირას ვცდილობ, თავისუფალი დრო სრულყოფილად გამოვიყენოთ და ბავშვებთან გავატაროთ. მინდა, ბოლომდე მექონდეს ასეთი მოსიყვარულე ოჯახი და სამსახური, რომელიც ძალიან მიყვარს, ჩემი ტიპის ადამიანისთვის ორივე მნიშვნელოვანია, რადგან სულ მეჩქარება სახლიდან – სამსახურში და სამსახურადან – სახლში.


– ანუ, ტელევიზიიდან არასოდეს ნახვალ?

– ცოტა ხნის წინ, ცნობილი საერთაშორისო ჟურნალის ქართული გამოცემის რედაქტორობაზე სერიოზული შემოთავაზება მექონდა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან დიდ შრომას მოითხოვდა და ოჯახისთვის დრო აღარ დამრჩებოდა, არადა, ბავშვებთან ყოფნა აუცილებელია, თან ისეთი საყვარელი და თბილია, რომ სულ მკოცნის და მეფერება, განუყოფელია – არ ვიცი, მსგავსი კიდევ როგორ უნდა გვანჩინო, თუმცა გეგმაში გვაქვს და ძალიან მინდა გოგო გვყავდეს (იღიმება)...

ესაუბრა თამაზ ხუციშვილი



„გავფიქრებდი ყოფნა აუცილებელია, თან ისეთი საყვარელი და თბილია, რომ სულ მკოცნის და მეფერება, განუყოფელია – არ ვიცი, მსგავსი კიდევ როგორ უნდა გვანჩინო, თუმცა გეგმაში გვაქვს და ძალიან მინდა გოგო გვყავდეს!“



სტუდია. სტუდია. სტუდია. სტუდია. სტუდია.

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე მელაძე

„სტუდიოს“ პირველი სოლისტი 53 წლის ასაკში გარდაიცვალა

ბატონის შუკენოვი პოპულარულ რუსულ ჯგუფ „სტუდიოს“ პირველი სოლისტი გახლდათ, რომელიც რამდენიმე დღის წინ, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი, როგორც პროდიუსერი ალექსანდრ სეინი ერთ-ერთ სოციალურ ქსელში წერს, ინფარქტი გახდა.


„ბატონი ძალიან კეთილი და კარგი ადამიანი იყო — დიდი გული ჰქონდა, რომელიც უეცრად გაჩერდა. ძალიან მომენატრები, ბატონი. მომენატრება შენი ღიმილი და ჩვენი ფრენები. როგორც ჩანს, ღმერთს ძალიან მოუნდა შენთან დამეგობრება და ასე ნაადრევად ამიტომ წაგიყვანა. ჩვენ ვილოცებთ შენთვის და ვიმღერებთ შენს სიმღერებს“, — წერს სეინი.



კონსტანტინე მელაძე ცოლად ვერა ბრეჟნევა შეირთო

თუკი რუს ჟურნალისტებს დავეუფერებთ, რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის მუსიკოსმა, კონსტანტინე მელაძემ მომღერალ ვერა ბრეჟნევას ხელი სთხოვა, თუმცა წყვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. ეგაა ოლონდ: ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ვერამ ფოტო „გამოფინა“, სადაც ნათლად ჩანს, რომ თითქოს საქორწინო ბეჭედი ამშვენებს.

კონსტანტინე მელაძის ცოლყოფილი ადასტურებს, რომ კონსტანტინე და ვერა, წლებია, ერთმანეთს სვდებიან.



არა-ჩვეულებრივი გვირდი

რიკი მარტინი ახალ შეყვარებულს ეძებს

„კარლოს გონსალესთან განშორება ჩემთვის ძლიერი დარტყმა იყო და დიდხანს გონს ვერ მოვედი, მაგრამ ჭრილობები უკვე შემისორცდა და ახალ სიყვარულთან შესახვედრად მზად ვარ“, — ამის შესახებ 43 წლის, მსოფლიოში ცნობილი მომღერალმა, რიკი მარტინმა ავსტრალიელ ჟურნალისტებს განუცხადა.

რიკის თქმით, ბედნიერება დიდხანს არ დააყოვნებს და, მხოლოდ ახალი სიყვარული კი არ ეწვევა, არამედ, მესამე შვილის მამაც გახდება და ის გოგონა იქნება.

„ერთი სული მაქვს, როდის ეყოლებათ ჩემს შვილებს და იყო და მასზე იზრუნებენ“, — ამბობს რიკი, რომელიც მესამე შვილის მამა მას შემდეგ კი არ გახდება, რაც ახალ „ბოიფრენდს“ იპოვის, არამედ, სუროგატ დედას, როგორც ამბობს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში მსოფლიო ტურნეს დამთავრებისთანავე დაიქორწინებს.

შეგახსენებთ: რიკი მარტინმა და ფინანსისტმა კარლოს გონსალესმა ერთად 3 წელი იცხოვრეს. წყვილს სუროგატმა დედამ ტყუპი გაუჩინა, თუმცა რიკი და კარლოსი დაშორდნენ.

მსოფლიოს ათი ყველაზე სექსუალური მანდილოსანი

მიშელ კიგანი ინგლისელი მსახიობია, რომელიც ერთ-ერთმა გავლენიანმა ჟურნალმა მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელა.

სექსუალური ქალების ტოპ-ათეული კი ასეთია:


1. მიშელ კიგანი (მსახიობი);
2. ქენდალ ჯენერი (ფოტომოდელი);
3. ჯენიფერ ლოურენსი (მსახიობი);
4. ქეით აპტონი (მოდელი);
5. კეროლინ ფლეკი (მსახიობი);
6. არიანა გრანდე (მომღერალი);
7. მარგო რობი (მსახიობი);
8. ლუსი მუკლენბურგი (რეალიტი-შოუს ვარსკვლავი);
9. ემილია კლარკი (ტელემსახიობი);
10. კელი ბრუკი (მსახიობი).

მილიონარი დევიდ ბექჰემის ვაჟი ფულს რესტორანში მუშაობით შოულობს

მართალია, დევიდ და ვიქტორია ბექჰემებს, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლიათ, მაგრამ მათი უფროსი ვაჟი ფულს ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში მუშაობით შოულობს.

„ვიქტორია და დევიდი, ყოველწლიურად, მილიონობით დოლარს გამოიმუშავენ და საკუთარ თავს ფუფუნების უფლებას აძლევენ. მაგრამ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბავშვები შრომისმოყვარეობას აუცილებლად უნდა შეეჩვიონ, — წერენ დასავლური ტაბლოიდები.

„როცა ბრუკლინს 14 წელი შეუსრულდა, ვუთხარი, თუ რამე გინდა, მიდი, იმუშავე და საკუთარი ფული გექნება-მეთქი. იმ დღიდან, ბრუკლინი შაბათ-კვირას, პატარა ფრანგულ რესტორანში რამდენიმე საათს მუშაობს და ამით ჯიბის ფულს შოულობს, თუმცა არ გამოვირიცხავ, რომ ამ სამუშაოს თავი დაანებოს მალე, რადგან სამოდელი კარიერაში წარმატებულ ნაბიჯებს დგამს“, — აღნიშნა ტაბლოიდებთან საუბრისას დევიდ ბექჰემმა.






„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაგ“

კარგე ლინა

არა-ჩვეულებრივი გვერდი



ანჯელინა ბრედს სცემა?

ჰოლივუდში სკანდალია – თანამედროვე მსოფლიოს სექსსიმბოლოდ შერაცხული ანჯელინა ჯოლის თანამედროვე აუტიზმით დაავადებული ბავშვების მხარდასაჭერად გამართულ საქველმოქმედო საღამოზე ნაიარევი სახით მივიდა, თუმცა იმის შესახებ, ჭრილობა სად, ან როგორ მიიღო, ბრედს პიტს სიტყვა არ დაუძრავს. „ნუთუ, ჯოლიმ მისის და მისტერ სმიტის თამაში გადაწყვიტა?“ – რიტორიკულად კითხულობენ ჰოლივუდელი მეჭორენი. მოგვიანებით, როცა მიტქმა-მოთქმამ კულმინაციას მიაღწია, ბრედმა ამოღებდა: „ასე დაგემართება, როცა „შლოპანცები“ გაცვია და ბნელ ოთახში დადისარ!“

84 წლის მოდელი ბინესის რეკორდსმანი გახდა

კარმენ დელ'ორფიჩე 84 წლისაა, მაგრამ ასაკი მოდელს ხელს არ უშლის, რომ კვლავ პოდუიმის ვარსკვლავი იყოს. სამოდელი კარიერა რომ დაიწყო, კარმენი 15 წლის გახლდათ, ანუ გამოდის, რომ 69 წელია, პოდუიმზე დგას. ბინესის რეკორდების ნიგნში სწორედ ამიტომაც შეიყვანეს.

პრინცესა დიანას უკნონო შვილი „აღმოუჩინა“

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი, უფრო კონკრეტულად, ან განსვენებული ლედი დი მორიგ სკანდალში ეხვევა. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა იუწყება, რომ პრინცესა დიანასა და პრინც ჩარლზს დაქორწინებამდე, ანუ უილიამისა და ჰარის დაბადებამდე, გოგონა შეეძინათ, თუმცა ბავშვი დიანამ კი არა, სუროგატმა დედამ გააჩინა, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს. „ეს დედოფალ ელისაბედ მეორის სურვილით მოხდა, ანუ სუროგატი დედა მონარქის მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ელისაბედ მეორის მოთხოვნითვე, ჯერ კიდევ ჩარლზისა და დიანა სპენსერის ქორწინებამდე ტესტი ჩატარდა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ დიანას ბავშვის გაჩენა შეეძლო. ექიმებმა ემბრიონი არ გაანადგურეს და ის ამერიკელი ქალის საშვილოსნოში გადაიტანეს, რის შემდეგაც გოგონა დაიბადა, რომელსაც სარა დაარქვეს“, – წერს დასავლური გამოცემა, რომლის მონაცემებით, სარა ახლა 33 წლისაა და აშშ-ში, კერძოდ, ნიუ-ინგლენდში ცხოვრობს. გამოცემის თქმითვე, პრინცი ჩარლზი ქალიშვილს იცნობს. ამასთან, არსებობს ცნობა, რომ პრინცი უილიამი ცოტა ხნის წინ აშშ-ში სწორედ დის მოსანახულებლად ჩავიდა.

საზიარ ბარდები და პენელოპა კრუსი ავსტრალიაში ნაზივრობენ

მართალია, ჯერ ზაფხული არ დამდგარა, მაგრამ ზოგიერთმა ჰოლივუდელმა დასვენება უკვე გადაწყვიტა. ასე, მაგალითად, საზიარ ბარდები და მისი პირმშვენიერი მეუღლე, 40 წლის პენელოპა კრუსი, შვილებთან ერთად, ავსტრალიის სანაპიროზე ნეზვირობენ. საზიარმა თავს დასვენების უფლება, შესაძლოა, იმიტომ მისცა, რომ „კარბის ზღვის პირატების“ მესხუე ნაწილის გადაღებები შეჩერებულია. ფილმში მთავარი როლი სწორედ საზიარ ბარდებმა უნდა შეასრულოს.

ამერიკელი მიცვალებულისგან დაფხმძივდა

შოტლანდიაში მდებარე უილმორის ციხესიმაგრე წლებია, სასტუმროს ფუნქციას ასრულებს. რამდენიმე ხნის წინ, ამერიკელმა ტურისტმა, ჯინ მალონმა სასტუმროს მფლობელი, რიჩარდ მაქკელენი გაუპატიურებაში ამხილა. „ღამე, ჩემს ნომერში მაქკელენი შემოვიდა და გამაუპატიურა“, – ამტკიცებდა ქალი. კაცი კი თავს უდანაშაულოდ თვლიდა და ამბობდა, ამერიკელს ჩემთან სექსი სიზმარში ჰქონდაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქალი ფეხმძიმეა, სიტუაცია გართულდა. „მსხვერპლმა“ სასტუმროს მფლობელის წინააღმდეგ, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სამართალდამცავთა გადაწყვეტილებით, სასტუმროს მფლობელის ოჯახის ყველა წევრს დნმ-ის ანალიზი ჩაუტარდა და... შოკისმომგვრელი ამბავი გაირკვა: მუცლადმყოფი ბავშვის მამა სასტუმროს მფლობელის მამაა, რომელიც 1935 წელს გარდაიცვალა... ყველაფერ ამას მეცნიერები ახსნას ვერ უძებნიან.



ბიზის!

შენ მარადის ჩართული ხარ ხალხის უნარჩვევებში, ნურავისი ნუ იქნები, ოღონდ მაგათ შეეშვი.

აქედანა და ბაქოვლი

ისე გძულდა თბილისი, ვით – მანქანა „ვილისი“, რომ არავინ გაქო შინ. მიტომ წახველ ბაქოში?

მამ, ვინ არის?

არის გამორჩეული?
 არა, **გავნორჩეული**.
 გამოკრეტილებული?
 არა, **გავნოკრეტილებული**.
 კარგი გამომეტყველებით?
 არა, **გავნომეტყველებით**.
 კარგად გამოიყურება?
 არა, **გავნოიყურება**.
 ჩვენსკენ გამოემართა?
 არა, **გავნომართა**.
 არის გამოსირებული?
 არა, **გავნოსირებული**.
 თუმცა, მაინც ეროვნული?
 არა, არა, **ქღნეროვნული**.
 ვის არ ავნო ამ ქვეყნად,
 მე მავნო და შენ **გავნო**.
 ახლა, დათესილია,
 ძველებურად ვერ გალობს,
 ინგლისურიც იცის და,
 რა თქმა უნდა, მეგრულიც,
 ძველი „კაგებეშნიკი“,
 „ცერეუ“-სთან შეკრული.

ჩამი რჩევა

თავში ბოლმა გიქრის ავი, სიყვარული შეიგენი, ცაში შენი თვითმფრინავით, ზღვაში კიდე – შენი გემით.

თბილისიდან ირავანში

ხომ უყურებ, ვერ იგრძენი ვერსად ქება, ვერ გატყავდი, მაგრამ მაინც გაზანტდი, შენ თბილისში არაფერი გესაქმება, ერევანში, კი ბატონო, ნაბრძანდი.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ემიჯენცი – „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024



მთავარი რედაქტორი: **ჯანსუღ ჩარკვიანი**
 მთ. რედაქტორის მოადგილე: **ვანო პავლიაშვილი**
 სარედაქციო კოლეგია:
ჭაჭაპა ამირეჯიანი, **მერაბ ბერძენიშვილი**,
ბაჩანა ბრეგვაძე, **თაბო გოცაძე**, **ეზარ კვიციანი**,
არმაზ სანუაშვილი.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე,
 ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძელი,
 ნათია ლეზანიძე.
 დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი:
ზურა მებრელიშვილი.

ბაზათი რეპროდუქციული რემონტული ცენტრის (საბაღასაბალო ინსაიტის) მიერ. რეპროდუქციის №22851

მისამართი:
 26 მბისის
 მოედანი. №1
 ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulicityva@gmail.com
 ბაზათი მომხმარებლისთვის მისამართი პრესის პრინციპით